

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლილი ლეჟავა

აფხაზური იდენტობის ნარატივის ფორმირება  
სახელმძღვანელოების მიხედვით

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის  
კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნინო ჩიქოვანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევათა ინსტიტუტის  
პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი, 2017

## ანოტაცია

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს ისტორიკოსების მიერ წარსულის რეკონსტრუქციის, წარსულის ნარატივების გამოყენება, როგორც აწმყო იდენტობის ფორმირების ინსტრუმენტი. კერძოდ კი, აფხაზეთის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზის საფუძველზე, წარსულის გააზრებისა და ისტორიის ინტერპრეტირების გავლენა იდენტობის ფორმირებაზე.

ჰიპოთეზის მიხედვით, ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები განხილულია, როგორც იდენტობის [ამ შემთხვევაში, აფხაზეთის იდენტობის] ფორმირების ერთ-ერთი ინსტრუმენტი.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად, ნაშრომში განხილული იქნება აფხაზეთის იდენტობის ნარატივის ფორმირების შემთხვევა ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით. გასაანალიზებლად აღებულია „აფხაზეთის ისტორია“ ი.კვეკვესკირის ავტორობით V-IX კლასებისათვის (2009 წლის გამოცემა) და ასევე „აფხაზეთის ისტორია: უძველესიდან პერიოდიდან თანამედროვემდე“ ო.ბლაჟბასა და ს.ლაკობას ავტორობით განკუთვნილი X-XI კლასებისათვის (2015 წლის გამოცემა).

ჰოპოთეზა ახსნილია მოდერნიზმის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში. ნაშრომი ცდილობს უპასუხოს შემდეგ საკვლევ კითხვებს: რა გავლენა აქვს ისტორიკოსების „შემოქმედებას“ იდენტობის ნარატივის ფორმირებაზე? რა გავლენა აქვს სასკოლო სახელმძღვანელოებს ამ ნარატივების ფორმირებაში? აფხაზეთის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში როგორაა წარსულის ნარატივი გამოყენებული აწმყო პრეტენზიების ლეგიტიმაციისათვის?

## **Abstract**

The purpose of this work is to examine the reconstruction of the past, the use of narratives of the past by historians as an instrument for identity formation in the present times. In particular, it aims to analyze Abkhazian history textbooks in order to measure the influence of conception of the past and interpretation of history on national identity formation.

According to the hypothesis, history textbooks are considered as one of the tools of national identity (in this case Abkhazian identity) formation.

To verify the hypothesis, the work examines the formation of Abkhazian identity narrative based on history textbooks. To meet the end of this study, the work uses two textbooks: “History of Abkhazia” for V-IX grades (2009 edition) by I.Kvekveskiri and “History of Abkhazia: From Ancient to Modern times” for X-XI grades (2015 edition) by O.Bgazhba and S.Lakoba.

The hypothesis is explained in theoretical framework of modernism. The paper tries to answer the following questions: What kind of influence do historians have on narrative formation? What effect do school textbooks have in formulating these narratives? How do the history textbooks of Abkhazia use narrative of the past for legitimizing present claims?

## სარჩევი

ანოტაცია

სარჩევი

შესავალი

- საკვლევი კითხვა და ჰიპოტეზა
- კვლევის მეთოდოლოგია
- ლიტერატურის მიმოხილვა

ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია

იდენტობის ნარატივის ფორმირება

სასკოლო განათლების როლი იდენტობის ფორმირებაში

აფხაზური იდენტობის ნარატივი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით

- უძველესი დროიდან ჩვ.წ VI საუკუნემდე
- ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნე -ფეოდალიზმის ხანის დასასრული (1870 წელი)
- აფხაზეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში
- საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდი უახლესი მოვლენების ჩათვლით

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

## შესავალი

ერები და ნაციონალიზმი, შესაბამისად მათთან დაკავშირებული საკითხები, თანამედროვე ფენომენია და ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის მიმდევრებს თუ დავუჯერებთ, არსებობის სულ რაღაც ორ საუკუნეს ითვლის. გამომდინარე აქედან, ნაციონალიზმთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის ისტორია კიდევ უფრო ნაკლებ პერიოდს მოიცავს. ამას ემატება ისიც, რომ ჯ.ა.ჰოლის აზრით, არ არსებობს ნაციონალიზმი, რადგან საქმე გვაქვს ნაციონალიზმებთან - არსებობს იმდენი სახის ნაციონალიზმი, რამდენი ქვეყნის/ხალხის/ერის ნაციონალიზმზე ვსაუბრობთ.

არსებობის მცირე ისტორიის მანძილზე ნაციონალიზმმა მსოფლიო პოლიტიკური რუკა მნიშვნელოვანწილად შეცვალა და დღესაც, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში არსებული გაყინული თუ ცხელი კონფლიქტების ახსნა ამ ფენომენის გარეშე გაგვიჭირდება.

ქართველი ახლაგაზრდა მკვლევრების დაინტერესება ნაციონალიზმთან, ერთან, ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხებით გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის ეთნიკურ სიჭრელესა და ეთნოკონფლიქტებს.

აფხაზურ-ქართული კონფლიქტის მოგვარების გზაზე, ერთ-ერთ მთავარ პრობლემას საზოგადოებებს შორის არსებული გაუცხოებაა, რომელის უფრო გაღმავების საშიშროებაც დღითი-დღე იზრდება. ერთ-ერთ მთავარ პრობლემად, შესაძლოა, რომ სწორედ ისტორიის კონფლიქტური ვერსიებით თაობათა აღზრდა მივიჩნიოთ. ჩემი ნაშრომით ვეცდები, ისტორიის აფხაზურ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, აფხაზური იდენტობის ძირითადი ნარატივები გამოვკვეთო. შედარებისათვის მოვიყვანო ანალოგიურ მოვლენათა ქართული ხედვა. საბოლოოდ, ისტორიის რეკონსტრუქციისა და სასკოლო განათლების, როგორც იდენტობის ფორმირების ინსტრუმენტის საშუალებად განხილვით, გავიაზროთ თუ როგორ ისწავლება თანამედროვე აფხაზეთში ვინ არიან აფხაზები და ვინ არიან ქართველები.

ისტორიკოსები ხშირად მიმართავენ წარსულის რეკონსტრუქციის, წარსულის ნარატივების გამოყენებას აწმყო იდენტობის განსასაზღვრად. ჩვენს შემთხვევაში, საინტერესოა აფხაზეთის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზის საფუძველზე, წარსულის გააზრებისა და ისტორიის ინტერპრეტირების გავლენა იდენტობის ფორმირებაზე.

### ➤ საკვლევითი კითხვა და ჰიპოთეზა

**საკვლევითი კითხვები:** რა გავლენა აქვს ისტორიკოსების „შემოქმედებას“ იდენტობის ნარატივის ფორმირებაზე? რა გავლენა აქვს სასკოლო სახელმძღვანელოებს ამ ნარატივების ფორმირებაში? როგორაა ასახული აფხაზეთის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში წარსულის რეპრეზენტაცია აწმყო პრეტენზიების ლეგიტიმაციისთვის? როგორ ხდება ქართველის „მტრის ხატის“ შექმნა?

**სამუშაო ჰიპოთეზა:** ისტორიკოსების „შემოქმედება“ [ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები] აფხაზეთის იდენტობის ნარატივის ფორმირების ერთ-ერთი ინსტრუმენტია.

**დამოუკიდებელი ცვლადი:** ისტორიის სახელმძღვანელოები, როგორც ინსტრუმენტი

**დამოკიდებელი ცვლადი:** აფხაზეთის იდენტობის ნარატივის ფორმირება

### ➤ კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომის ფარგლებში კვლევის დიზაინად შერჩეულია თვისებრივი მეთოდები, რომელთა საშუალებითაც დავადგენ ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, არსებული ლიტერატურის, აკადემიური სტატიებისა თუ სხვადასხვა კვლევითი ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების გაანალიზების მეშვეობით (ჭურაბიშვილი, 2006, 3).

საკითხზე მუშაობისას, გამოვიყენე თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი - სიღრმისეული ინტერვიუ, რომელიც მიზნად ისახავს რესპონდენტებისაგან დეტალური, ღრმა და თანამიმდევრული ინფორმაციის მიღებას მათი ცხოვრებისეული გამოცდილების შესახებ, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება გარკვეული საზოგადოებრივი

კანონზომიერებების დადგენა, ზოგ შემთხვევაში კი - საერთო ხასიათის დასკვნების გაკეთება (ზურაბიშვილი, 2006, 4).

ნაშრომი ასევე მოითხოვს შემთხვევის შესწავლის (Case-study) მეთოდოლოგიას.

### ➤ ლიტერატურის მიმოხილვა

აფხაზური იდენტობის ნარატივის ფორმირების გასაანალიზებლად, ჩემი ნაშრომის მთავარ წიგნებს, აფხაზეთის ისტორიის ორი სასკოლო სახელმძღვანელო: V-IX კლასებისათვის განკუთვნილი „აფხაზეთის ისტორია“ ი.კვეცივესკირის ავტორობით (2009 წლის გამოცემა) და X-XI კლასებისათვის განკუთვნილი „აფხაზეთის ისტორია: უძველესიდან პერიოდიდან თანამედროვემდე“ ო.ბლაჟბასა და ს.ლაკობას ავტორობით (2015 წლის გამოცემა) წარმოადგენს.

ორივე სახელმძღვანელოს ანალიზის საფუძველზე შევეცდები დავამტკიცო ჰიპოთეზა, რომ ორივე წიგნი შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ინდენტობის ფორმირების ინსტრუმენტი.

შედარებებისთვის გამოყენებული მაქვს საქართველოს ისტორია IX კლასელებისათვის და ასევე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული საქართველოს ისტორიის ოთხტომეული.

გარდა ამისა, სხვადასხვა სტატიასა და კვლევას შორის, ძირითად ნაშრომებად ვიყენებ ნაციონალიზმის მოდერნისტი თეორიის მთავარ ავტორთა შორის. ძირითადი სახელმძღვანელოებია ერნესტ გელნერის „ერები და ნაციონალიზმი“, ერიკ ჰობსბაუმის „ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან“, ბენედიქტ ანდერსონის „წარმოსახვითი საზოგადოებანი“.

მნიშვნელოვანი იყო იმის დამტკიცება, რომ სკოლას ნამდვილად შეუძლია სასურველი იდენტობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს, ამ მხრივ

ნაშრომისთვი ქვაკუთხედს ქმნიდა თოდორ ზერვასის წიგნი „ფორმალური და არაფორმალური განათლება ბერძნული ნაციონალიზმის აღზევების კვალდაკვალ“.



## ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია

ნაციონალიზმის თეორიულ მიმდინარეობებს შორის მოდერნიზმი ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული და პოპულარული თეორიაა. იგი ნაციონალიზმის დომინანტ თეორიად იქცა. მოდერნიზმის ძირითადი არსი გამოიხატება თეზისით, რომ ერები და ნაციონალიზმი ახალი ფენომენია და მათი ისტორია მხოლოდ უკანასკნელი ორი საუკუნით შემოიფარგლება. ერები და შესაბამისად, ნაციონალიზმი საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ ჩნდება და ისინი თანამედროვე ეპოქის ისეთივე პროდუქტია, როგორც კაპიტალიზმი, ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია, სეკულარიზმი და ა.შ (დავითაშვილი, 2003, 100).

ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის სამი ძირითადიდან ერთ-ერთი მიმდინარეობა ერებისა და ნაციონალიზმის წარმოშობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას სოციალურ-კულტურულ ფაქტორებს ანიჭებს(დავითაშვილი, 2003, 117).

მოდერნისტული თეორიული ჩარჩოს განხილვისას სვეცხები მის ძირითად თეორეტიკოსებს: ერნესტ გელნერს, ერიკ ჰობსბაუმს, ბენედიქტ ანდერსონს. გარდა ამისა, გამოვიყენებ ენტონი სმიტის შეხედულებებსაც. მიუხედავად იმისა, რომ სმიტი ეთნოსიმბოლისტია, მასა და მოდერნისტებს შორის მაინც არსებობს თანხმობა იმაზე, რომ ერები და ნაციონალიზმი თანამედროვეობის პროდუქტია.

გელნერის მიერ ჩამოყალიბებული კლასიკური განმარტებით, „ნაციონალიზმი უპირველეს ყოვლისა არის პოლიტიკური პრინციპი, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური და ეროვნული ერთეულები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს“ (Gellner, 1983, 1). ასეთი დამთხვევა კი ძველ საზოგადოებებში პრაქტიკულად შეუძლებელია. ამდენად, ნაციონალიზმი მხოლოდ ინდუსტრიულ საზოგადოებაში შეიძლება წარმოიშვას, როცა ყალიბდება ერი-სახელმწიფოები ერთიანი ეკონომიკით, საერთო ეროვნული ბაზრით, ერთიანი ლიტერატურული ენით და განათლების საერთო სისტემით (დავითაშვილი, 2003, 118).

თომას ერიქსენი ნაციონალური იდენტობის ფორმირების პროცესში ყურადღებას ამახვილებს განათლებასა და ენაზე. მას მოჰყავს საფრანგეთის მაგალითი და ამბობს რომ ფრანგი ერის ნაციონალური თვითშეგნების ჩამოყალიბება საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ შეუძლებელი იქნებოდა საერთო საგანმანათლებლო სისტემის, ენისა და ლიბერალურ პოლიტიკური უფლებების გარეშე. იგი ხაზს უსვამს, რომ ფართომასშტაბიანი სოციალური ინტეგრაციისთვის აუცილებელია ენის სტანდარტიზაცია, საერთო საგანმანათლებლო სისტემის შემოღება და შრომის დანაწილება. (ერიქსენი, 266, 1991).

ერების არსებობა ინდუსტრიალამდელ საზოგადოებაში, გელნერის აზრით, განპირობებულია ძალაუფლებისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათზე. „მაღალი“ კულტურა, რაც ერთიან ლიტერატურულ ენას და ერთიან განათლების სისტემას ემყარება, მთელ საზოგადოებაზე ვრცელდება. ხდება კულტურის ჰომოგენიზაცია. ამას ხელს უწყობს მოსახლეობის მაღალი სოციალური მობილობა. ინდუსტრიული საზოგადოება დაფუძნებულია „მუდმივი ზრდის“ იდეაზე და ამდენად, შეუძლებელია „როლების უცვლელიობა“ იქნეს შენარჩუნებული (დავითაშვილი, 2003, 118)

გელნერის აზრით, ნაციონალიზმის სიძლიერე ისაა, რომ იგი განსაზღვრავს პოლიტიკური ერთეულების კანონიერების ნორმებს თანამედროვე მსოფლიოში (Gellner, 1983, 1).

თანამედროვე მსოფლიოს გელნერი ადარებს „გიგანტურ აკვარიუმს“ ან „სასუნთქ კამერას“, სადაც ჰაერი და წყალი სპეციალური შემადგენლობისაა ახალი სახეობის - ინდუსტრიული ადამიანის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომელსაც არ შეუძლია არსებობა ბუნებრივ ატმოსფეროში და წყალში. მაგრამ ამ სპეციალური სასიცოცხლო ჰაერის შენარჩუნება ხდება განსაკუთრებული მცენარის საშუალებით. ამ მცენარის სახელწოდებაა ეროვნული განათლებისა და კომუნიკაციების სისტემა (Gellner, 1983, 51-52).

მთავარი პრობლემა გლეხების მოქალაქეებად ქცევა და ახალი, „ინდუსტრიული“ კულტურის შეთავსება იყო (დავითაშვილი, 2003, 120)

[ბენედიქტ] ანდერსონი ერს მიიჩნევს წარმოსახვით საზოგადოებად (ერთობად). წარმოსახვითია იმიტომ, რომ სულ ყველაზე მცირე ერის შემთხვევაშიც კი შეუძლებელია პიროვნება იცნობდეს თავისი ერის წარმომადგენელთა რამდენიმე მნიშვნელოვან რიცხვს. ამგვარად, პატარა სოფლის გარდა, ყველა სხვა საზოგადოება წარმოსახვითია, რადგან მათ წევრთა დიდი უმრავლესობა ვერასოდეს ვერ შევა ერთმანეთთან პირად კონტაქტში. (დავითაშვილი, 2003, 121)

ერი, როგორც წარმოსახვითი საზოგადოება, ანდერსონის მიხედვით, შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, კერძოდ, ისტორიის ახალ ეტაპზე, როდესაც ე.წ. „ბეჭდვითი კაპიტალიზმის“ ეპოქა დგება და წიგნების, გაზეთებისა და ჟურნალების ბეჭდვა მოსახლეობის მშობლიურ ენაზე კომერციულ ხასიათს იღებს. ცალკეული პიროვნებების (რომლებსაც ანდერსონი პილიგრიმებს უწოდებს და რომელთა მისიაც ეროვნული თვითშეგნების გაღვივება და ეროვნული ტერიტორიის გამოკვეთაა) ძალისხმევით ყალიბდება ერთიანი კულტურის, საერთო ბედის, ისტორიისა და წინაპრების „წარმოსახვა“, შექმნა და განმტკიცება, რის საფუძველზეც იქმნება წარმოდგენა „ჩვენი ერთობის“ - ერის შესახებ. (დავითაშვილი, 2003, 121-122)

ერის, ეროვნებისა და ნაციონალიზმის განმარტება და, მით უმეტეს, გაანალიზება მეტად რთულია. (ანდერსონი, 2003, 17)

ანდერსონსმიაჩნია, რომ ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, შესაძლებელია ერის შემდეგი განმარტება: „ეს არის წარმოსახვითი პოლიტიკური საზოგადოება და ის წარმოსახება როგორც მისთვის თანმხლების საზღვრებით, ასევე, სუვერენულობით“. ის წარმოსახვითია, რადგან ყველაზე პატარა ერის წევრებიც კი ვერასოდეს გაიცნობენ ამ ერის წევრთა უმრავლესობას, ვერ შეხვდებიან და ვერაფერს გაიგებენ მათ შესახებ; და მაინც ყოველი მათგანის გონებაში შექმნილია მათი ერთობის ხატი. (ანდერსონი, 2003, 21)

ჰიუ სეტონ-უოტსონი წერს: „ერთადერთი რისი თქმაც შემიძლია, არის ის, რომ ერის არსებობა მაშინაა რეალური, როცა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი თავს ერად ჩათვლის/წარმოიდგენს ან ასეთ შთაბეჭდილებას დატოვებს თავისი საქციელიდან გამომდინარე“ (Seton-Watson, 1977, 5).

ერნესტ გელნერი კი წერდა, რომ ნაციონალიზმისთვის დამახასიათებელია ერების შეთხზვა იქ, სადაც ისინი არ არსებობენ (Gellner, 1964, 169).

ერი წარმოსახულია, როგორც გარკვეულ ფარგლებში მოქცეული მოვლენა, რადგან ყველაზე დიდ ერებსაც კი, რომელთა მოსახლეობა მილიარდსაც აღემატება, აქვთ, მართალია ელასტიკური, მაგრამ სავსებით გარკვეული საზღვრები, რომელთა მიღმა სხვა ერები სახლობენ (ანდერსონი, 2003, 23).

ერი წარმოსახულია, როგორც სუვერენული ფენომენი, ერის ცნება გაჩნდა იმ პერიოდში, როცა განმანათლებლობა და რევოლუცია ანადგურებდნენ იერარქიული დისტანციური სამეფოს ღვთაებრივად მიჩნეულ ლიგიტიმურობას. (ანდერსონი, 2003, 23)

ერი წარმოსახულია, როგორც საზოგადოება, თემი, რადგან რეალურის, უთანასწორობისა და არსებული ექსპლუატაციის მიუხედავად, რაც შეიძლება გაბატონდეს ნებისმიერ მათგანში, ერი ყოველთვის მოიაზრება როგორც ღრმა, ჰორიზონტალური ამხანაგობა. (ანდერსონი, 2003, 23).

ერიკ ჰობსბაუმი თავის წიგნში „ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან - პროგრამა, მითი, რეალობა“ აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებს და მმართველ რეჟიმებს ყველა მიზეზი გააჩნიათ, რომ თუ კი შეძლებენ, სახელმწიფო პატრიოტიზმი გააძლიერონ „წარმოსახვითი საზოგადოების“ სენტიმენტებით და სიმბოლოებით. (ჰობსბაუმი, 124, 2012).

ჰობსბაუმი ბუნებრივად მიიჩნევს სახელმწიფოს მხრიდან თავის მაცხოვრებლებთან კომუნიკაციის მზარდი და ძლიერი მექანიზმების, მათ შორის დაწყები სკოლების, გამოყენებას, რათა გაარცელოს „ერის“ ხატება და მემკვიდრეობა და აიძულოს ისინი

დაუკავშირდნენ ქვეყანას და დროშას. ამისათვის სახელმწიფოების ხშირად ტრადიციას ან მთელ ნაციონალობასაც იგონებენ. (ჰობსბაუმი, 125, 2012)

ბენედიქტ ანდერსონი „წარმოსახვითი საზოგადოებაში“ აღნიშნავს, რომ „ბეჭდვითმა“ ენებმა საფუძველი ჩაუყარეს ეროვნული შეგნების განვითარებას. ეს განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა. პირველი და უმთავრესი იყო აზრთა ურთიერთგადაცვლისა და კომუნიკაციის ერთიანი სივრცის შექმნა. ბეჭდური პროდუქციისა და ქაღალდის საშუალებით კი მიღწეულ იქნა ურთიერთგაგება. ამ პროცესში, ადამიანებმა თანდათანობით შეიტყვეს ასი ათასობით, მილიონობით ხალხის შესახებაც კი, რაც მოახერხებ როგორც საკუთარი ენის, ასევე იმ ენების საშუალებით, რომლებიც მხოლოდ იმ ასი ათასობით ან მილიონობით ხალხის საკთრებას წარმოადგენდა. ბეჭდური პროდუქციის გზით დაკავშირებულმა ახალმა მკითხველმა თაობამ შექმნა წარმოსახვითი ეროვნული საზოგადოების ემბრიონი, რომელიც თავისი საერო ხასიათით, განსაკუთრებული თვისებებითა და ვიზუალურობის გვერდიგვერდ არსებული აშკარა უჩინარობითაც გამოირჩეოდა. (ანდერსონი, 73, 2003).

გარდა მოდერნიზმის თეორიისა, აუცილებელია მოვიშველიოთ ისტორიის გაგების, მისი რეკონსტრუქციის შესწავლის ახსნები ისეთი მეციერებისაგან, როგორებიც არიან პ.ბერკე, პ.ნორა და ე.ზერუბაველი.

”ისტორია როგორც სოციალურ მეხსიერებაში“ პიტერ ბერკე ამბობს, რომ ეთნოსის კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ისტორიკოსებს, რომელთა ფუნქციაა „იყვნენ დამმახსოვრებლები“, საზოგადოებრივ მოვლენათა მეხსიერების დარაჯები. იგი კოლექტიური მეხსიერებას უწოდებს საერთო მეხსიერებას, რომელიც გადაიცემა და კონსტრუირდება ჯგუფის მიერ (Burke, 97-98, 1980).

ერიკ ჰობსბაუმი თავის ნაშრომში „ისტორიის შესახებ“ აღნიშნავს, რომ მითები და გამოგონებები იდენტობის პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც დღევანდელობაში ადამიანთა ჯგუფები განსაზღვრავენ თავიანთ თავებს ეთნიკურობით, რელიგიით, სახელმწიფოს წარსული ან ახლანდელი საზღვრებით. ისინი ცდილობენ სიცხადე იპოვონ გაურკვეველ და არადმგრად სამყაროში შემდეგის თქმით: „ჩვენ ვართ

განსხვავებულნი და უკეთესნი სხვებთან შედარებით“. მითები და გამოგონებები მნიშვნელოვან წილად განაპირობებენ იმას, თუ რა შევა სკოლის სახელმძღვანელოებში. როგორც მაგ. იაპონიის შემთხვევაში, რომლის ხელმძღვანელებმა მოითხოვეს ჩინეთში იაპონიის ომის „დეზინფიცირებული“ ვერსია შეეტანათ სკოლის სახელმძღვანელოებში (Hobsbawm, 1998).

ჰობსბაუმის აზრით, ისტორია არ არის წინაპართა მეხსიერება ან კოლექტიური ტრადიცია. ისტორია არის ის, რაც ადამიანებმა ისწავლეს სასულიერო პირებისგან, სკოლის მასწავლებლებისგან, ისტორიის წიგნის მწერლებისგან, ჟურნალის სტატიებისა და სატელევიზიო პროგრამების შემდგენელებისგან. იგი ასევე ხაზს უსვამს, რომ თუ წარსული არ არსებობს, ის ყოველთვის შეიძლება იქნას გამოგონებული. წარსული ახდენს ლეგიტიმაციას. წარსული უქმნის უფრო დიდებულ ფონს აწმყოს, რომელსაც ბევრი არაფერი აქვს აღსაღნიშნი.

## იდენტობის ნარატივის ფორმირება

აფხაზური სახელმძღვანელოების ანალიზისა და აფხაზური იდენტობის ფორმირებაზე საუბრის დაწყებამდე აუცილებლად მიმაჩნია იდენტობის მცირე განმარტება შემოგთავაზოთ.

2007 წელს ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მოხსენებაში გიგი თევზაძე საუბრობს იდენტობის წარმოშობაზე, მის საფუძვლებსა და ფორმებზე.

ადამიანი იდენტობების კომპლექსს წარმოადგენს. ამ იდენტობიდან ზოგი პირველადია, და მასში შედის პირველადი სოციალური ინსტიტუტების საშუალებით(ოჯახი) ან მეორადი, და ადამიანის მიერ მისი გათავისება სხვადასხვა ტიპის სოციალურ ინსტიტუტში მონაწილეობით ხდება (თევზაძე, 2009, 12)

არსებობს ხუთი საფეხური/იდენტობა: პირველი არის ოჯახი, ანუ იწყება დაბადებიდან, პირველადი სოციალიზაციიდან. შემდეგი იდენტობა, რომელიც ჩვენში შემოდის, იმ გარემოზეა დამყარებული, რომელშიც ჩვენი ოჯახი ცხოვრობს - ანუ, ნათესაობითი იდენტობა. პარალელურად, იმ ინფორმაციისა და სოციალური კავშირების მეშვეობით, რომელსაც ჩვენ ვიღებთ, ჩვენ გვიჩნდება სოციო-ბიოლოგიური იდენტობები. შემდეგი იდენტობის მიღება დაკავშირებულია განათლებისა და მასმედიის ინსტიტუტებთან. ამ დროს ჩვენში ეროვნული იდენტობა იწყებს შემოსვლას. ცხადია, ერის ცნება შემთხვევით არ შემოდის - ის შემოდის იმ პრინციპებზე დაყრდნობით, რომელზეც დგას განათლების სისტემა და ინფორმაციის გავრცელება. მხოლოდ განათლების სისტემისა და მასმედიის საშუალებით არის შესაძლებელი ეროვნული და ეთნიკური იდეოლოგია იდენტობებად იქცეს - ანუ, მოსახლეობის დიდი მოცულობისთვის თვითგანსაზღვრის და თვითდადგენის, ასევე, საკუთარი თავის და საკუთარი ერთობის სხვებისაგან განსხვავების საშუალებად და ინსტრუმენტად.

იმის მიხედვით, თუ რომელზეა მეტად დამოკიდებული სოციალურზე თუ პოლიტიკურზე, იდენტობები შეგვიძლია დავყოთ სოციეტალურ და პოლიტეტალურ

იდენტობებად. სოციეტალური იდენტობები მუდმივია, ხოლო - პოლიტეტალური - შექმნილი.

იდენტობა შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც ჩვენი საკუთარი თავის, ჩვენი წარსულის, კულტურისა და მომავლის შესახებ წარმოდგენების კომპლექსი, რომლის შეხების/დაფარვის არეალს იქით მოხვედრილი ადამიანი/მოვლენა/არტეფაქტი ჩვენთვის უპირობოდ წარმოადგენს უცხოს (თევზაძე, 2009, 13).

ენტონი სმიტი თავის წიგნში „ნაციონალური იდენტობა“, საუბრობს ისტორიული მიწის მნიშვნელობაზე ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესში. მისი აზრით, ხალხი და ტერიტორია ეკუთვნის ერთმანეთს. ამ კუთხით ნებისმიერი მიწის მიმართ კი არ არსებობს კუთვნილება, არამედ იგი უნდა წარმოადგენდეს „ისტორიულ მიწას“, სამშობლოს, ხალხის „აკვანს“. „ისტორიული მიწა“ წარმოადგენს თაობათა მიერ ჩამოყალიბებულ ურთიერთდამოკიდებულებას ადამიანსა და ტერიტორიას შორის. სამშობლო იქცევა ისტორიული მეხსიერების და ასოციაციების საწყობად, ტერიტორიად, სადაც „ჩვენი“ გამოჩენილი პიროვნებები, წმინდანები და გმირები ცხოვრობდნენ, მუშაობდნენ, ლოცულობდნენ და იბრძოდნენ. ყველა ზემოდნიშნული ელემენტი სამშობლოს ქმნის უნიკალურს. მისი მდინარეები, კონცხები, ტბები, მთები და ქალაქები გადაიქცევა „წმინდა“ ადგილებად (Smith, 1991, 19).

სმიტი ასევე აღნიშნავს, რომ ეროვნული იდენტობა მოითხოვს გარკვეული სახის პოლიტიკურ საზოგადოების ცნებასაც, ხოლო პოლიტიკური საზოგადოება თავის მხრივ მოიცავს სულ მცირე რამდენიმე საერთო ინსტიტუტს, საერთო სამართლებრივ კოდექსსა და მოვალეობას საზოგადოების ყველა წევრისთვის. იგი ასევე მოითხოვს სოციალურ სივრცეს, ზუსტად დემარკირებულ და მოხაზულ ტერიტორიას, რომლის მიმართაც ჯგუფის წევრები ახდენენ იდენტიფიცირებასა და კუთვნილებას (Smith, 1991, 19).

დომინიკ აბრამსი და მაიკლ ჰოგი თავიანთ ნაშრომში „სოციალური იდენტიფიკაცია“ აღნიშნავენ, რომ იდენტობა არის ადამიანთა წარმოდგენა თუ ვინ არიან ისინი, რას წარმოადგენენ და როგორი დამოკიდებულება აქვთ სხვებთან (Abrams & Hogg, 1998, 2).



მათი აზრით, იდენტობა, უფრო კონკრეტულად კი სოციალური იდენტობა და ჯგუფისადმი კუთვნილება განუყოფელი ცნებებია. ადამიანის კითხვა თუ ვინ არის იგი, ანუ მის იდენტობას, განსაზღვრავს იმ ჯგუფის მახასიათებლები, რომელსაც იგი ეკუთვნის (Abrams & Hogg, 1998, 7).

სოციალურ ჯგუფებზე, უფრო კონკრეტულად კი უმცირესობებზე, საუბრისას ჰენრი ტაიფელი თავის სტატიაში „უმცირესობის სოციალური ფსიქოლოგია“ უმცირესობას შემდეგნაირად ახასიათებს:

- უმცირესობის ჯგუფს აერთიანებს მსგავსებები და ის სოციალური გარემოპირობები, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. ამავე დროს მათ გააჩნიათ ძლიერი განცდა განსხვავებულობის, რომელიც ხელს უწყობს მათ მდგრადობასა და შენარჩუნებას;
- უმცირესობის წევრობას შემდეგი სუბიექტური მახასიათებლები გამოიყოფა: სტერეოტიპები, რწმენათა სისტემა, იდენტიფიკაციები და ა.შ;
- უმცირესობის ჯგუფის შიდა მდგრადობა/შეჭიდულობა და სტრუქტურა შეიძლება „სხვად“ და „განსხვავებულად“ მიჩნევის შედეგი იყოს.

იგი აღნიშნავს, რომ ჯგუფი „სხვად“ და „განსხვავებულად“ აღიქმება შიგნიდან (ჯგუფის წევრების მიერ) და გარედან (ჯგუფის არაწევრთა მიერ). უმცირესობად მიჩნევა ჯგუფის წევრობის შიგა და გარე კრიტერიუმების ერთობლიობაში ყალიბდებდა. ერთი მხრივ უმცირესობის ჯგუფის წევრების შეხედულებები სხვებისგან საერთო განსხვავების თაობაზე, ასევე კულტურული, სოციალური და ისტორიული ტრადიციით დამკვიდრებული განხვავებები, ხოლო მეორე მხრივ „სხვების“ მხრიდან „სხვად“ მიჩნევაგანსაზღვრავს ჯგუფს უმცირესობად.

## სასკოლო განათლების როლი იდენტობის ფორმირებაში

თეოდორ ზერვასი ნაშრომში „ფორმალური და არაფორმალური განათლება ბერძნული ნაციონალიზმის აღზევების კვლადაკვალ“ საკმაოდ საინტერესოდ ხსნის ნაციონალური იდენტობის ფორმირების პროცესში საკლასო ოთახის ფარგლებში მიწოდებული ინფორმაციის მნიშვნელობის ფენომენს.

ერი-სახელმწიფოები ყოველთვის იყვნენ დაინტერესებული იმით, თუ რას სწავლობენ მისი მოქალაქეები არაოფიციალურად/არაფორმალურად და რამდენად ემსახურება კონკრეტული ინფორმაციების გავრცელება/დასწავლა სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებსა და დღის წესრიგში მდგარ საკითხებს (Zervas, 2016, 4).

ზერვასის მოსაზრებით, მთავრობები ანალიზებენ იმას, რომ მოქალაქეთა ერთგულება სახელმწიფოს მიმართ მარტივად შეიძლება შეიცვალოს. აქედან გამომდინარე სკოლები, რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში სწორედ მთავრობები აფინანსებენ, კარგი საშუალებაა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მიზნებისათვის გამოიყენონ. იგულისხმება სკოლების მეშვეობით სასურველი იდეისადმი, ჯგუფისადმი და პიროვნებისადმი ლოიალობის ჩამოყალიბება.

თანამედროვე სკოლა, რომელიც სახელმწიფო აპარატის განშტოებაა, არეგულირებს რა და როგორ უნდა ისწავლონ ბავშვებმა. სახელმწიფო საზღვრავს კურიკულუმს, ადგენს სახელმძღვანელოებს, სპეციალური მოსამზადებელი პროგრამებით ამზადებს და არჩევს მასწავლებლებს. ცენტრალიზებული სასკოლო სისტემით, ბერძნულმა სახელმწიფომ შეძლო გავლენა მოეხდინა და გაეკონტროლებინა, თუ რას სწავლოდნენ ბავშვები თავიანთ თემებში. უფრო მეტიც, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულმა სკოლებმა გავლენა იქონია იმაზეც, რას ასწავლიდნენ ბავშვებს საკთარ სახლებსა თუ თემებში (Zervas, 2016, 7).

როზმარი ჰენზეს კვლევამ აჩვენა რომ უფროსები, რომლებიც წარმოგვიდგებოდნენ მასწავლებლებად და ბავშვებს მუდმივად არიგებდნენ ჭკუას არაფორმალური სწავლების

გარემოში, „უფროსი-მასწავლებლებლობის“ მთავარ მიზანს მომავალი თაობებისთვის კულტურული ნორმებისა და ტრადიციების გადაცემა წარმოადგენდა (Henze, 1992, 29).

ბავშვთა განვითარების უკანასკნელი კვლევა ნათლად ცხადყოფს როგორ დაიწყებს ბავშვებმა საკუთარი „მე“-სა და „სხვის“ შემეცნება და გაანალიზეს უფრო ფართო ეროვნული იდენტობისადმი მიკუთვნებულობა. ეროვნული იდენტობა წარმოადგენს კომპლექსურ სისტემას, რომელიც შედგება ცოდნის, ემოციებისა და რწმენებისგან, რომლებიც მოგვიანებით გაძლიერებულია სკოლაში. იგი ასევე მოიცავს ეროვნულ შტრიხებს. მაგალითად, ჩვენ ვლაპარაკობთ *ამ* ენაზე, გვაცვია *ეს* ტანსაცმელი, ვჭამთ *ამ* საკვებს და გვწერა *ამ* რაღაცების. ის მოითხოვს საერთო გენეალოგიას, რომელსაც ქმნის ოჯახთა ერთობლიობები, რომლებსაც საერთო წინაპარი ჰყავთ. ბავშვი ანალიზებს, რომ ეს არის მამაჩემი, ბაბუაჩემი არის მამაჩემის მამა, დიდი ბაბუა არის არის ბაბუაჩემის მამა, ასევე იგი ათვიცნობიერებს ჩვენი საზოგადოების წევრებს საერთო წინაპარი გვყავდეს, როგორცაა ადამი და ევა.

ნიშნები და სიმბოლოები ასევე ამყარებს ერისადმი მიკუთვნებულობის ცნებას. ჩემს ქალაქში არის ეკლესია და ეკლესიები არის ასევე ყველა მეზობელ ქალაქში, ჩვენი დროშა ფრიალებს თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით და ჩვენ ყველა ვმღერით ჩვენ ეროვნულ ჰიმნს. ერის შეკავშირებას ასევე ეხმარება ეროვნული ტრადიციები და დღესასწაულები. ეროვნული დღესასწაულები, როგორცაა 25 მარტი (საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღე) და რელიგიური დღესასწაულები - შობა, აღდგომა, მარიამობა - რომლებიც არის უქმეები. რაღაც ეტაპზე ბავშვები სწავლობენ სად ცხოვრობენ - მისამართს, ქუჩას, სოფელს, პატარა ქალაქს, დიდ ქალაქს, ქვეყანას და უკავშირებენ ამ ყოველივეს „სახლისა“ და „კუთვნილების“ ცნებებს. სად ცხოვრობენ განსაზღვრავს მათ თუ ვინ არიან ისინი სხვებთან ურთიერთობისას. სახლი არის ადგილი სადაც მათი ოჯახის წევრები ცხოვრობენ, სადაც შესაძლოა მათი წინაპრები ცხოვრობდნენ და სადაც მათ ძინავთ, თამაშობენ, აღმოჩენებს აკეთებენ და სწავლობენ (Zervas, 2016, 13-14).

ბავშვები თვლიან რომ ეროვნული იდენტობა ბუნებრივია და არა ხელოვნური. მათ მიაჩნიათ რომ ყოველთვის ისინი იქნებოდნენ ვინც არიან, თუნდაც სხვაფერ ეცხოვრათ და სხვა მშობლებს გაეზარდათ. თუმცა, ჩვენ ვიცით რომ ბავშვი, რომელიც დაიბადა ვიეტნამში და გაიზარდა საფრანგეთში ფრანგულენოვანი მშობლების მიერ ისწავლის ფრანგულ ენას და თავს ჩათვლის ფრანგად.

ზერვასი ამტკიცებს, რომ ეროვნული იდენტობის ცნება არის აბსტრაქტული და სუბიექტური, აქედან გამომდინარე მარტივია ბავშვმა თავი მიაკუთვნოს უფრო დიდ ეროვნულ საზოგადოებას, ვიდრე მხოლოდ თავის თემს. ბავშვებს უბრალოდ სურთ თავიანთი ბუნდოვანი წარმოდგენა „მე“-ს შესახებ დაუკავშიროს უფრო ფართო, ეროვნულ ჯგუფს, რათა მასთან მიმართებით განსაზღვროს თავიანთი კავშირი და მსგავსება. დღესაც, ბავშვები ანალიზებენ რომ გაზიარებული ისტორია, ენა და რელიგია აქცევთ მათ ერის ნაწილად. ბავშვებს შეიძლება გააჩნდათ ეროვნული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის შეგრძნება, რომ ისინი არიან ეროვნული საზოგადოების სრულფასოვანი და თანაბარი წევრები. მათ არ სჭირდებათ დეტალებში ცოდნა ქვეყნის ისტორიის, რელიგიურ რიტუალების და ტრადიციების, რათა გაიზარონ ერის ცნება. იგი ეთანხმება ჰობსბაუმს და თვლის, რომ ტრადიციები შეიძლება გამოგონილი იქნას, ხოლო რიტუალები მიღებული სხვადასხვაგვარად.

ერები ხშირად იგონებენ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს და ქმნიან ეროვნულ მონუმენტებს, რათა უფრო მეტად მოხდეს ერის შეკავშირება. მნიშვნელობა იმას კი არ აქვს ეს ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, რიტუალები, სიმბოლოები და საზოგადო მოღვაწეთა სახეები არიან თუ არა ერის კუთვნილება, არამედ იმას რომ ისინი აღბეჭდილნი არიან ადამიანთა მქსირებაში, რომელნიც იმავე ერის ნაწილნი არიან.

ერნესტ გელნერი, თავისფუნდამენტურ ნაშრომში *ერები და ნაციონალიზმი*, ამტკიცებს, რომ ადამიანის იდენტობის ბირთვის განსაზღვრავს ის, თუ რომელ კულტურაში სწავლობს იგი კომუნიკაციას. მსგავსად გელნერისა, კარლ დოიჩი ამბობს: „ადამიანისთვის უფრო მარტივია კომუნიკაცია თავის კულტურაში ვიდრე მის საზღვრებს გარეთ. აქედან

გამომდინარე რადგან საერთო კულტურა უზრუნველყოფს კომუნიკაციას, სწორედ იგი ქმნის საზოგადოებას“.

ბერძნულმა სკოლებმა გააძლიერა განსხვავებულობის აღქმა ბერძნებსა და სხვა ჯგუფებს შორის. ბავშვები ისმედნენ ისტორიებს სხვა ხალხებისა და კულტურების შესახებ. ბავშვებს ასწავლიდნენ რომ საბერძნეთი იყო ევროპული და დასავლური ცივილიზაციის აკვანი. მათ ასევე ასწავლიდნენ რომ ისინი მოდიოდნენ სწორედ იმ ცივილიზაციის წიაღიდან, რომელმაც შექმნა დასავლური სამყარო. ამასთანავე მათ ასწავლიდნენ რომ ისინი იყვნენ თურქთა მონები 400 წლის განმავლობაში. ამ ორ მაგალითით ჩანს, ერთი მხრივ ბერძენი ხალხი, როგორც ჯგუფი გაერთიანებული იყო კულტურული და ისტორიული აღმატებულობის სუბიექტური აღქმით, ხოლო მეორე მხრივ ბრძოლით, რომელიც გაზიარებული იყო საზოგადოების ყველა წევრის მიერ.

უმეტეს შემთხვევაში ბავშვები არ იცნობდნენ ბერძნულ ისტორიის სპეციფიკურ მოვლენებს და მის ქრონოლოგიურ ჩარჩოს. ისინი უბრალოდ იაზრებდნენ, რომ კულტურულად აღმატებულნი იყვნენ სხვა ერებზე. მათი აზრით, ტრადიციებისა და რიტუალების გაზიარება სხვა ბერძნებთან ეხმარებოდა მათ ყოფილიყვნინე უნიკალური ნაცია, სხვა ნაციებთან შედარებით. ასეთ შეხედულებებს ბავშვებს ასწავლიდნენ, როგორც ფორმალურ ისე არაფორმალურ განათლების ჩარჩოებში (Zervas, 2016, 16).

ზერვასის დასკვნით, ბერძნულმა სკოლამ, როგორც ეროვნულმა ინსტიტუტმა და სახელმწიფოს აგენტმა, წარმოშვა ისტორიული ცნობიერება და ბერძნული იდენტობა მთელი მე-19 საუკუნისა და ადრეული მე-20 საუკუნის განმავლობაში. სკოლა აღქმული იყო ყველაზე კარგ ადგილად ბერძნული იდენტობის გადასაცემად. ეს სისრულეში მოიყვანა ცენტრალიზებულმა სასკოლო სისტემამ, რომელიც გაკონტროლებული და ადმინისტრირებული იყო სახელმწიფოს მიერ. უფრო კონკრეტულად, ბერძნული უნაკლო ისტორიის წარსულიდან აწმყომდე სწავლამ განაპირობა თანამედროვე ბერძნული იდენტობის ფორმირება. ბერძნული ეროვნული იდენტობა ასევე დაკავშირებული იყო მის ევროპულ განსაზღვრებასთან, რომელიც უფრო „ხატოვან“ და „წარმოსახვით“ საბერძნეთს

გვისახავდა, რომელიც სათავეს იღებდა ანტიკურობიდან. მან განაპირობა ტრანსცენტული იდეალების - *ელადასა და თანამედროვე საბერძნეთის* - სინთეზი და ანტიკური საბერძნეთის თანამედროვე ბერძნული სახელმწიფოს კულტურულ და ისტორიულ ჩარჩოში მოქცევა. ამასთანავე, ეს იდენტობა მკვეთრად იყო დაკავშირებული ანტიკურ ბერძნულ ისტორიასთან და ბერძნულ მართმადიდებლურ ეკლესიასთან. ანტიკური ბერძნული ისტორიისა და ბერძნული მართმადიდებლური ეკლესიის მნიშვნელობა ჩართვა საბერძნეთში მოხდა გვიან მე-18 საუკუნესა და ადრეულ მე-19 საუკუნეში დასავლეთ ევროპული და ბერძენი დიასპორული ინტელექტუალების მიერ, რომლებიც თანამედროვე საბერძნეთს განიხილავდნენ, როგორც ანტიკური საბერძნეთის აღორძინებად (Zervas, 2016, 17).

საბერძნეთის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ბერძნულ სახელმწიფოს სურდა ანტიკური წარსული ხელახლა დაებრუნებინა ეროვნულ სასკოლო სისტემაში და ნაციონალური ისტორიის სწავლებაში. ოსმალთა პერიოდში, ეკლესიის მიერ მართული სკოლები თამაშობდნენ უდიდეს როლს ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებაში მართმადიდებლური ეკლესიის წევრებში, რომელიც აერთიანებდა ბერძნულად და არა-ბერძნულად მოსაუბრე ადამიანებს. არა-ბერძნულად მოსაუბრე ადამიანები რელიგიურ ხაზებს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე ნაციონალურსა და ეთნიკურს (Zervas, 2016, 20).

ბერძნულმა ანტიკურმა წარსულმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბერძნული სახელმწიფოს ლეგიტიმაციასა და ბერძენი ხალხის ეროვნული იდენტობის ირგვლივ გაერთიანებაში. გვიან მე-19 საუკუნეში სახელმწიფოს საგნმანთლებლო ინტერესები და ჩართულობა გასცდა სკოლას. უწიგნურობის მაღალმა დონემ, სკოლაში სიარულის დაბალმა მაჩვენებელმა და შესაბამისი სასკოლო რესურსების ნაკლებობამ ბერძნული სახელმწიფო აიძულა მოეძებნა სხვა შესაძლებლობებიც ეროვნული პროექტის წინ წამოწევისთვის.

ერმა-სახელმწიფოებმა აღმოაჩინეს, რომ სახელმწიფოს მიერ რეგულირებული განათლება შეიძლება გამოყენებულ იქნას საზოგადოების შესაქმნელად, რომელიც კონკრეტულ სოციალურ და პოლიტიკურ ნორმებს დაექვემდებარება. მასწავლებლები და სკოლის სხვა ოფიციალური წარმომადგენლები გახდნენ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული აგენტები, შესაბამისად მთელი საზოგადოება დაექვემდებარა სახელმწიფოს ლეგალურ მმართველობას. საგანმანათლებლო ინსტიტუტების, როგორც დისციპლინარული ძალის ცენტრების გამოყენებით მოქალაქეები აღმოჩნდნენ ისეთ პირობებში, რომელშიც ისინი უფრო მეტად დაქვემდებარებულნი და ლოიალურნი გახდნენ ნაციისა და ხელისუფლების მიმართ. აქედან გამომდინარე, ფორმალურმა სასკოლო სწავლებამ მოქალაქეები უფრო კანონმორჩილი და კულტურული და სოციალურ ნორმების უფრო მეტად მიმყოლი გახადა.

ბევრ ქვეყანაში სასკოლო სწავლება გამოყენებული იქნა, როგორც კოლექტიური ნაციონალური იდენტობის ირგვლივ გამაერთიანებელი, სადაც ნაციის წევრები, როგორც „წარმოსახვითი საზოგადოება“ იაზრებს უფრო ფართო ეროვნული საზოგადოების მიმართ კუთვნილებას, რომლის წევრებსაც საერთო სოციალური და კულტურული რიტუალები ქცევები გააჩნია. ეს პრაქტიკა ყველაზე კარგად ადრეული მე-19 საუკუნის საფრანგეთსა და გვიანი მე-19 და ადრეული მე-20 საუკუნის გერმანიაში იქნა გამოყენებული. ამასთანავე ერი შეიძლება გაერთიანებულ იქნას საერთო ისტორიული გამოცდილებით და საფრთხის შემთხვევაში ერთად ებრძოლოდ საშიშროების გამომწვევ მიზეზს. ეს ყველაზე მეტად ცხადი გახდა საბერძნეთში მთელი მე-19 საუკუნის და ადრეული მე-20 საუკუნის განმავლობაში, როდესაც თანამედროვე საბერძნეთი შეეცადა, რომ გაეზარდა თავისი ტერიტორია ბალკანეთის ხარჯზე და გააერთიანებინა ხალხი ანტიკური ბერძნების წარმომავლობის სახელით (Zervas, 2016, 23).

მე-19 საუკუნის შუა ხანებში ინდუსტრიალიზაციის აღმავლობის ფონზე, განათლება ხელახლა გადაიხედა ბევრ ერ-სახელმწიფოში. შესაბამისად, სკოლები ფორმირდნენ ისე, რომ მოქალაქეები მოემზადებინათ „ინდუსტრიალიზაციის ეპოქისთვის“. ერმა-

სახელმწიფოებმა აღმოაჩინეს, რომ განათლება შეიძლება გამოყენებულ ყოფილიყო ნაციის მოდერნიზაციისთვის. მათ ასევე აღმოაჩინეს, რომ სასკოლო სწავლებამ და განათლებამ შეიძლება მოამზადოს ბავშვები, რომლებიც შემდგომში იმუშავენ და გაზრდიან ინდუსტრიულ ეკონომიკას. განათლება დანახული იყო, როგორც აუცილებელი ელემენტი სოციალურ მობილურიზაციის და ეკონომიკური კეთილდღეობისთვის, საბოლოოდ, ინდუსტრიალიზაციამ შესაძლებელი გახადა შეექმნა საკმარისი რესურსები მასობრივი საჯარო განათლების დასაფინანსებლად (Zervas, 2016, 23).

მე-19 საუკუნის ბოლოსთვის ფორმალური განათლების ზრდის კვალდაკვალ, სასკოლო სწავლებამ ითამაშა კრიტიკულად მნიშვნელოვანი როლი ევროპული საზოგადოებების ტრანსფორმაციაში სოციალური, კულტურული და პოლიტიკური თვალსაზრისით.

ელიზაბეთ გელვეის ნაშრომი ამტკიცებს, რომ გვიან მე-19 საუკუნესა და ადრეულ მე-20 საუკუნეში კანადური საბავშვო ლიტერატურა კონსტრუირებული იყო ნაციონალური იდენტობის სპეციფიკური იდეოლოგიებით, რომლებიც ახალგაზრდებში ნაციონალური ერთობის გაძლიერების კარგ საშუალებას წარმოადგენდნენ (Galway, 2008, 30).

მე-19 საუკუნეში, ევროპულმა ერმა-სახელმწიფოებმა გაანალიზეს, რომ ფორმალური განათლების ზედამხეველობა და რეგულირება შესაძლებელია, ხოლო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სასკოლო სწავლება შეიძლება გამოყენებულ იქნა პოლიტიკურ იარაღად. ასევე, ბევრ ევროპულ ქვეყანაში განათლება ადქმული იყო, როგორც მოდერნიზაციის, სეკულარიზაციისა და ვესტერნიზაციის მექანიზმი. საბერძნეთის შემთხვევაში ერთი მხრივ, სახელმწიფო დაინტერესებული იყო მოდერნიზაციით, ხოლო მეორე მხრივ, ამ პორცესში არ სურდათ დაეკარგათ ბერძნული კულტურის გარკვეული ნაწილი. მე-19 საუკუნესა და ადრეულ მე-20 საუკუნის ბერძნული განათლება შეიძლება შევაჯამოთ, როგორც ტრადიციული ბერძნული კულტურის სიმტკიცისკენ და ამავდროულად, სეკულარული და დასავლური ღირებულებების გაერთიანებისკენ მიმართული (Zervas, 2016, 64).



ბერძნული საზოგადოების ბევრი ასპექტი ნამდვილად იცვლებოდა და ამის ერთ-ერთ მაგალითს ფორმალური და არაფორმალურ განათლების სისტემები წარმოადგენდნენ.

ბერძნული სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი იყო ძალზე ცენტრალიზებული სასკოლო სისტემა, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემდა მთელი საბერძნეთის მასშტაბით გაეკონტროლებინა სკოლები. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო რჩებოდა განათლების ძირითადი მიმწოდებელი ქვეყნისთვის. სახელმძღვანეოებს სახელმწიფოები არჩევდა, რომლებიც კომიტეტების მიერ იყო მომზადებული. ეს კომიტეტები წყვეტდნენ რომელი სახელმძღვანელო და რომელ ავტორთა წიგნები უნდა ყოფილიყო გამოეყენებული სკოლებში, ასევე ისტორიის რომელი მონაკვეთები უნდა შესულიყო და რომელი არა. ამ გზით, ბერძნული სახელმწიფო აკონტროლებდა თუ რას სწავლობდნენ ბავშვები სკოლებში (Zervas, 2016 63-64).

მე-19 საუკუნის და ადრეული მე-20 საუკუნის განმავლობაში სახელმძღვანელო წარმოადგენდა საშუალებას, რომლითაც ბავშვები სწავლობდნენ თავიანთი ნაციისა და მისი წარსულის შესახებ, ასევე სწავლობდნენ რას ნიშნავს იყო ბერძენი. შეიძლება ითქვას რომ ეს იყო აპარატი, რომელიც სახელმწიფოს ეხმარებოდა დაერეგულირებინა და ზედამხედველობა გაეწია ბავშვების სწავლაზე. სახელმძღვანელო წარმოადგენდა ამ შესაძლებლობის მთავარ იარაღს.

მე-19 საუკუნის ბოლოსთვის ბერძნული სახელმძღვანელოების უმეტესობა ბერძენი ავტორების მიერ იყო შედგენილი და საბერძნეთში იყო გამოცემული, მაშინ როცა მანამდე სასკოლო საკითხავ მასალებს უცხოელი ავტორები ჰყავდათ. ასევე ამავე პერიოდიდან, სახელმძღვანელოებში უმეტესი ამბავი შეეხებოდა საბერძნეთს და ბერძენ ხალხს. სახელმძღვანელოები ბერძენთა ავტორობით უმეტესწილად ფოკუსირებას ახდენდა ბერძენ ხალხზე, მიწასა და ისტორიაზე, რომლის ათვლაც ანტიკური საბერძნეთიდან იწყებოდა (Zervas, 2016, 66).

ბერძნული ისტორიის უმეტესი სახელმძღვანელო გაყვება პაპარიგოპულოსის ისტორიულ ქრონოლოგიას. პაპარიგოპულოსისთვის მნიშვნელოვანი იყო თანამედროვე და

ანტიკური საბერძნეთის ისტორიების დაკავშირება. მან ეს მოახერხა ბერძნული ისტორიის სამ კატეგორიად/პერიოდად დაყოფით: ანტიკური, შუასაუკუნოვანი/ბიზანტიური და თანამედროვე. მან ეს სამი პერიოდი დააკავშირა ერთ უწყვეტ ისტორიულ ხაზად - წარსულიდან აწმყომდე (Zervas, 2016, 68).

სკოლებში ბერძნული ისტორია იმგვარად ისწავლებოდა, რომ ბავშვები ერთიანდებოდნენ საერთო კულტურული და ისტორიული წარსულის გაზიარებით. ბერძნული ისტორია წარმოდგენილი სკოლის სახელმძღვანელოებში ასახავდა უწყვეტობას წარსულიდან დღემდე და ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ დღევანდელი ბერძნები არიან იდენტურნი ანტიკური ბერძნების (Zervas, 2016, 68).

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში სახელმძღვანელოები იყო საშუალება, ბავშვებისთვის ესწავლებინათ თავიანთი ერისა და ბერძენად ყოფნის მნიშვნელობის შესახებ (Zervas, 2016, 77).

თანამეოროვე და ცენტრალიზებული სასკოლო სისტემა იქცა სტანდარტად თუ როგორ მიიღებდნენ განათლებას მომავალი მოქალაქეები.

სახელმძღვანელოების იარაღად გამოყენება ემსახურება ხალხის გაერთიანების მიზანს, საერთო კულტურულ და საგანმანათლებლო გამოცდილების ირგვლივ. სახელმწიფო საზღვრავს რას უნდა შეიცავდეს სახელმძღვანელოები, როგორ უნდა იქნას იგი პრეზენტირებული და როგორ უნდა ასწავლონ მასწავლებლებმა ისინი მოსწავლეებს. სკოლებმა საბოლოოდ გააძლიერა სახელმწიფოსადმი სიყვარული და ერთგულება და გააერთიანა ბერძენი ხალხი საერთო ეროვნული იდენტობის ირგვლივ (Zervas, 2016, 85).

ზერვასის ეს ნაშრომი საინტერესოა ჩემი ნაშრომისთვისაც, რადგან პირველ რიგში იგი ხაზს უსვამს სასკოლო სახელმძღვანელოს როლს და ბერძნულ მაგალითზე დასაბუთებულად ხსნის, რომ განათლების საერთო სისტემას, სასკოლო სახელმძღვანელოს და საკლასო სწავლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იდენტობის ფორმირების პროცესში. ზერვასი აღიარებს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები/სკოლა არ შეიძლება გავიგოთ,

როგორც იდენტობის ფორმირებისთვის საჭირო აუცილებელი ერთადერთი ინსტრუმენტი. იგი ასევე აღიარებს არაფორმალურ დასწავლის/დაპროგრამების საშუალებებსაც, თუმცა კარგად ხსნის, რატომ დაინტერესდნენ სახელმწიფოები სკოლებით და რატომ აქცევენ ყურადღებას დღესაც იმას, თუ რას სწავლობენ ბავშვები სკოლებში.

## აფხაზური იდენტობის ნარატივი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით

როგორც ჩემი ნაშრომის დასაწყისში აღვნიშნე, აფხაზური იდენტობის ნარატივის ფორმირების გასაანალიზებლად აღებულია აფხაზეთის ისტორიისორი სასკოლო სახელმძღვანელო: V-IX კლასებისათვის განკუთვნილი „აფხაზეთის ისტორია“ ი.კვეკვესკირის ავტორობით (2009 წლის გამოცემა) და X-XI კლასებისათვის განკუთვნილი „აფხაზეთის ისტორია: უძველესიდან პერიოდიდან თანამედროვემდე“ ო.ბლაჟბასა და ს.ლაკობას ავტორობით (2015 წლის გამოცემა).

ორივე სახელმძღვანელო სოხუმშია გამოცემული და დამტკიცებულია პირველ შემთხვევაში,აფხაზეთის განათლების სამინისტროს(2010წ), ხოლო მეორე - აფხაზეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს(2015წ) მიერ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომორივე სახელმძღვანელო რუსულენოვანია. შესაბამისად, აფხაზეთის ისტორია ანუ აფხაზეთისთვის მშობლიური ისტორია ისწავლება არა მშობლიურ აფხაზურ, არამედ „უცხო“, რუსულ ენაზე.

წიგნები ქრონოლოგიური პრინციპითაა შედგენილი და თემატურად დაყოფილია ძირითად ისტორიულ პერიოდებად. თხრობა იწყება უძველესი პერიოდიდან, პირველყოფილი ადამიანებიდან და კვეკვესკირის სახელმძღვანელოში 2008 წლის რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებით, ხოლო ბლაჟბასა და ლაკობას წიგნში - 2015 წელს ვლადიმერ პუტინისა და რაულ ხაჯიმბას სოჭში შეხვედრით მთავრდება.

ჩემი ნაშრომის მოცემულ თავს ოთხ ძირითად ნაწილად, ოთხ ქვეთავად,დავყოფ. პირველ ქვეთავში გავაანალიზებ უძველესიდან ჩვ.წ VIსაუკუნემდე პერიოდს, მეორე ქვეთავი VI საუკუნიდან ფეოდალიზმის დასრულების ჩათვლით პერიოდს დაეთმობა, მესამე - ახალ პერიოდს, რომელიც აფხაზეთის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის წლებს

ემთხვევა, ხოლო მეოთხე - საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდს, უახლესი მოვლენების ჩათვლით.

ოლეგ ბლაჟბასა და სტანისლავ ლაკობას აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელოს შესავალში, პირველივე წინადადება გვეუბნება, რომ „აფხაზეთი (აფხაზ.Апсны), ქვეყანა, რომლის მკვიდრ მოსახლეობასაც აფხაზები წარმოადგენენ - მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ხალხია.“ (Блажбна&Лакобна, 2015, 4) შესაბამისად, პირველივე წინადადებიდან გასაგებია, აფხაზური იდენტობის როგორი ნარატივი ფორმირებას შეიძლება ემსახურებოდეს მოცემული სახელმძღვანელო, ვეცდები ყოველ ისტორიულ პერიოდში საკვანძო მომენტებზე გავაკეთო აქცენტი, რომელიც საბოლოოდ თანამედროვე აფხაზების იდენტობის ჩამოყალიბებას ემსახურება.

### ➤ უძველესი დროიდან ჩვ.წ VI საუკუნემდე

აუცილებელია ითქვას, რომ მოცემული ქვეთავების უმთავრეს მიზანს - აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზთა ავტოქტონობის დამტკიცებას ემსახურება.

ორივე სახელმძღვანელოს წაკითხვის შედეგად, ერთადერთი დასკვნა, რომელიც მკითხველს შეუძლია გამოიტანოს, არის ის, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზები უძველესი დროიდან სახლობდნენ, ისინი ამ ტერიტორიაზე პირველმოსახლეები არიან. როგორც ბლაჟბასა და ლაკობას, ასევე კვეკვესკირის სახელმძღვანელოების მეშვეობით, გადმოცემულია ისტორია, რომელიც აფხაზ ხალხს აფხაზეთის ტერიტორიაზე ისტორიულ უფლებას ანიჭებს.

ამასთან, გარდა ტერიტორიული პრეტენზიების ლეგიტიმაციისა, მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი აფხაზთა ეთნოგენეზის საკითხს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ აფხაზი ხალხის წარმოშობა, მათი ნათესაური კავშირი სხვა ტომებთან/ხალხებთან იმგვარადაა აღწერილი, რომ გვერდი აქვს ავლილი მათ ქართველებთან/ქართველურ ტომებთან რაიმენაირ, თუნდაც შესაძლომცირე კავშირსაც კი.

კვეკვესკირის სახელმძღვანელოს მიხედვით, აფხაზეთის ტერიტორიის ათვისება უხსოვარი დროიდან იწყება:

*„ადამიანები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან დასახლდნენ, დაახლ. 400-300 ათასი წლის წინ, ქვის ხანაში“ (Куакуаскир 2010, 4)*

რაც შეეხება სახელმძღვანელოს ბლაჟბასა და ლაკობას ავტორობით, როგორც შესავალში აღვნიშნე, ნაშრომის ფარგლებში გასაანალიზებლად მე-2, განახლებულ, 2015 წლის გამოცემა ავირჩიე. თუმცა, საინტერესოა თავად პირველი და მეორე გამოცემების შედარება რიგ ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით.

აღმოჩნდა, რომ აფხაზეთის ტერიტორიის ათვისების თარიღი ერთი და იმავე ავტორთა პირველ და მეორე გამოცემის წიგნებში განსხვავებულია. კერძოდ, ბლაჟბასა და ლაკობას 2006 წლის გამოცემაში ვკითხულობთ:

*„ამელური ეპოქა აფხაზეთში დაახლ. 400-300 ათასი წლის წინ დადგა. „პირველყოფილები“ და შემდეგ უკვე, ძველი ხალხები, რომელთაც სისხლითნათესაობა აკავშირებდათ, მცირე აზიიდან პატარა ჯგუფებად ჩვენი ტერიტორიისაკენ მოიწვედნენ.“ (Бгажба&Лакоба, 2006, 13)*

ხოლო იმავე აზნაცს, 2015 წლის განახლებულ გამოცემაში, შემდეგნაირად ვკითხულობთ:

*„ამელური ეპოქა აფხაზეთში დაახლ. მილიონ 200 ათასი წლის წინ დადგა. უფრო ადრეული პერიოდი აქ ჯერჯერობით არ დადგენილა. „პირველყოფილები“ და შემდეგ უკვე, ძველი ხალხები, რომელთაც სისხლითნათესაობა აკავშირებდათ, მცირე აზიიდან პატარა ჯგუფებად ჩვენი ტერიტორიისაკენ მოიწვედნენ.“ (Бгажба&Лакоба, 2015, 17)*

ისტორიკოსთამსგავსი გააზრებული ქმედება, მხოლოდდამხოლოდ ერთ მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს - „რაც შეიძლება წარსულში გადაიტანოს თავისი ისტორიის დასაწყისი,

რათა, მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით, საკუთარი უპირატესობა დაამტკიცოს.“ (თორია, 2006).

როგორც V-IX კლასებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო გვეუბნება, აფხაზეთის ტერიტორიის უძველესი დროიდან ათვისებაზე, სოხუმიდან ჩრდილოეთით მდებარე, პალეოლითის ხანის, „კავკასიაში ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი პირველყოფილ ადამიანთა იაშთხვას სადგომი(Яштухская)“ მიუთითებს. (Куакуасკირ 2010, 5) იაშთხვას სადგომი ამავე წყაროში 358-330 ათასი წლით თარიღდება. ბლაჟბასა და ლაკობასთან არაფერია ნათქვამი მისი წლოვანების შესახებ, მხოლოდ აღნიშნულია, რომ იგი უძველესი და უდიდესია არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. (Бгажна&Лакоба, 2015, 18)

მხოლოდ შედარებისთვის და არა ქართული ან აფხაზური ნარატივის სისწორის გასარკვევად, შეგვიძლია მოვიყვანოთ ქართველი ისტორიკოსების მიერ საქართველოში პალეოლითის ხანის ნასახლარის მაგალითადიგივე იაშთხვას სადგომისგამოყენების შემთხვევა:

*„კოლხეთი, რომელიც ძველი ქვის ხანის მთელ მანძილზე გამოირჩეოდა თავისი კლიმატური პირობებით, ყოველთვის იზიდავდა პალეოლითელ ადამიანს. აქ გამოვლენილი აშელური ხანის ძეგლებიდან აღსანიშნავია სოხუმთან აღმოჩენილი სოფ. იაშთხვას ღია სადგომი.“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2015, 7)*

როგორც ამ მაგალითიდანაც ჩანს, ქართველი და აფხაზი ისტორიკოსები ერთი და იმავე ისტორიულ რესურსებს ეცილებიან ერთმანეთს და ხშირად ისე ხდება, რომ ურთიერთსაპირისპირო, წინააღმდეგობრივი ნარატივის შესაქმნელად იყენებენ. მსგავს წინააღმდეგობას სახელმძღვანელოების კვლევის კვალდაკვალკიდევ არაერთხელ წავაწყდებით.

აფხაზური სახელმძღვანელოების ტექსტებში თხრობისას ხშირად გვხვდება პარალელების გავლება მსოფლიოს სხვა წერტილებში კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში ადამიანის/საზოგადოების განვითარებისათვის დამახასიათებელი არტეფაქტებთან. მაგალითად, როდესაც აღწერილია ძვლისგან დამზადებული ჰარპუნები, აღნიშნულია, რომ „აფხაზური ჰარპუნების მსგავსი, აღმოჩენილია სამხრეთ საფრანგეთში.“ (Бгажна&Лакоба, 2015, 24) ასევე, როცა საუბარია პალეოლითის ხანის სადგომებსა და იარაღებზე, პარალელებად საფრანგეთი და ინგლისია მოყვანილი და ა.შ. შესაძლოა, ეს განვიხილოთ, როგორც ერთგვარი ხერხი, იმის საჩვენებლად, რომ აფხაზეთის/აფხაზი ხალხის განვითარების ისტორია არანაკლებ მნიშვნელოვანი ვიდრე ისეთი ქვეყნების, როგორებიცაა საფრანგეთი ან ინგლისი. თუმცა, მსგავსი ქმედების მეორე დატვირთვა უფრო საინტერესოა ჩვენთვის. მოგვიანებით, ვნახავთ, რომ ავტორთა მიერ თითქმის იგნორირებულია კოლხეთის სამეფოს რეალური არსებობა, რეგიონში მცხოვრები ტომების ჩამოთვლისას, რომელთაც ცალკე ქვეთავები მიეძღვნება არაფერია ნათქვამიმეზობელი ძველქართველური ტომების შესახებ.

აფხაზეთში ნეოლითის ხანის შეფასებისას, ვკითხულობთ:

*„დასავლეთ ამიერკავკასია (მათ შორის აფხაზეთი) გამოიყო ცალკე კულტურულ რეგიონად, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის რეგიონებისათვის წარმოებლური მეურნეობის გავრცელებაშიერთგვარი დირიჟორის როლს ასრულებდა...ხორბალი, ქერი, ოსპი, ბარდა, ჭვავი იყო ადამინის მიერ კულტივირებული პირველი მცენარეები“ (Бгажна&Лакоба, 2015, 28-29)*

შედარებისთვის - ქართულ ისტორიულ ნარატივში ვკითხულობთ:

*მართალია, დასავლეთ ამიერკავკასიაში მიწათმოქმედების ჩასახვის ამსახველი მასალები ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის, მაგრამ სავარაუდოა, რომ აქ ხელსაყრელი ეკოლოგიური ფონი უნდა არსებულიყო წარმოებითი მეურნეობის ამ დარგის წარმოქმნისათვის... ძნელია თქმა, საკვები მცენარის რომელმა კულტურამ დაუდო სათავე მიწათმოქმედებას დასავლეთ საქართველოში.*



*ადრენეოლოგიური ხანის ნამოსახლარებზე თითქმის არ გვხვდება მათი ნაშთები.*(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2015, 14-16)

ორივე სახელმძღვანელოებისათვის დამახასიათებელია წყაროების მითითების ნაკლებობა, ხშირ შემთხვევაში საერთოდ არ არსებობა. ავტორები არ აკონკრეტებენ, თუ რომელი არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ არტეფაქტებზე დაყრდნობით აკეთებენ ამა თუ იმ დასკვნას.

სპილენძ-ბრინჯაოს ხანაზე საუბრისას, განსაკუთრებით ხაზგასმულია *აფხაზური მეტალურგიისა და სულიერი კულტურის* მჭიდრო კავშირი საუბარია მაიკოპისა და მტკვარ-არაქსის არქეოლოგიურ კულტურებთან, რომელთა მატარებლებიც კავკასიის ჩრდილო-დასავლეთითა და დასავლეთ ამიერკავკასიაში მოსახლე ტომები იყვნენ. აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ სადგომებში გაპრიალებული ზედაპირის მრგვალი კერამიკული ჭურჭერლი მაიკოპის კულტურასთან სიახლოვის დემონსტრირებისთვისაა მოყვანილი. (Бгажнда&Лакონა, 2015, 36)

გარდა მაიკოპისა, სახელმძღვანელოში ახლო აღმოსავლურ კულტურასთან მჭიდრო კავშირის მაგალითებსაც გვაძლევენ. „*კავკასიაში უძველესი*“ (Бгажнда&Лакონა, 2015, 36) ხის გუთანს, რომელიც გალის რაიონის სოფელ ფიჩორაშია აღმოჩენილი, სწორედ ამ კავშირის დამადასტურებელი არტეფაქტია. ამასთან, ეს იმაზეც მიუთითებს, რომ აფხაზთა წინაპრები იმ პერიოდში კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებულები იყვნენ და თავად იყვნენ სიახლეების გამზიარებულები ამ რეგიონში.

*„უკვე იმ დროისთვის, ჩვენი შორეული წინაპრები პრიმიტიულიდან უფრო პროგრესულ სოფლის მეურნეობაზე გადავიდნენ.“* (იქვე)

ბრინჯაოს ხანის კულტურაზე საუბრისას, დოლმენების ფენომენზე საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ:

*„[აფხაზეთის დოლმენებში გავრცელებული] დაკრძალვის წესის მსგავს აღწერას ვხვდებით ბერძენ ისტორიკოს ჰეროდოტესა (ძვ.წ V საუკუნე) და ასევე, XIX*

*საუკუნის აფხაზი ეთნოგრაფის ს. ზვანბას ნაშრომებში. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში აღწერილი მსგავსი დაკრძალვის რიტუალი, რომელსაც აფხაზთა ძველი წინაპრები იყენებდნენ, მიუთითებს მის უწყვეტობაზე თითქმის 5 ათასი წლის მანძილზე. (Бгажба&Лакоба, 2015, 41)*

„დოლმენების საიდუმლოს“ (Куакуасკიპ 2010, 20-21) ამოხსნის მცდელობისას კი, მათი აზიაში, აფრიკასა და ევროპაში გავრცელების აღნიშვნის პარალელურად, არაფერია ნათქვამი კავკასიაში დოლმენების გავრცელების არეალზე, რა შემთხვევაშიც საქართველოს ტერიტორიაზე (არა მხოლოდ აფხაზეთის) აღმოჩენილ დოლმენებსაც უნდა შეხებოდნენ.

აქვე საუბარია, რომ უკვე იმ დროისათვის, მდ. ბზიფზე გადიოდა ორ ეთნოკულტურულ ერთობას - ადიღებსა და აფხაზებს შორის საზღვარი. აქცენტი კეთდება დიდი კავკასიის გადასასვლელების (მაგალითად, ქლუხორის, სანჩარის) გავლით ჩრდილოეთისკენ მიგრაციაზე, რაც სხვადასხვა არტეფაქტებზე ფრიგიული, ანატოლიური, ურარტუს, ირანის, საბერძნეთისა და მცირე აზიის გავლენით მტკიცდება. (Бгажба&Лакоба, 2015, 50-51)

მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, თუ როგორაა კოლხურ კულტურასთან კავშირი სახელმძღვანელოებში აღწერილი. კვეკვესკირის სახელმძღვანელო საერთოდ არ საუბრობს მასზე.

ბლაჟბასა და ლაკობას მიხედვით, გვიანი ბრინჯაოს პერიოდში აფხაზეთის ტერიტორია კოლხურ-ყობანური კულტურულ-ისტორიული ერთობის არეალში ექცეოდა, სადაც გლენჯიკიდან (კრასნოდარის მხარე) ორდუმდე (თურქეთი) აფხაზურ-ადიღური ტომები შედიოდნენ. „ამ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ახლო აღმოსავლურ (მცირე აზიიდან და ურარტუდან) და აღმოსავლეთ-ხმელთაშუაზღვიურ ზემოქმედებას ჰქონდა“ (Бгажба&Лакоба, 2015, 45)

აღსანიშნავია, რომ იშვიათი გამონაკლისის მიუხედავად, როდესაც სახელმძღვანელოში ნახსენებია კოლხეთი და კოლხები, ფაქტობრივად, იგნორირებულია მათთან რაიმე სახის კავშირი. კოლხეთი და კოლხური კულტურა განხილულია, როგორც გეოგრაფიული სივრცე/მოცემულობა, რომელშიც აფხაზების გარდა კიდევ არაერთი ხალხი შედიოდა, მათ შორის ძველქართველური (ვიწრო გაგებით კოლხები) და რომ კოლხეთის კულტურას მიკუთვნებულ ყველა ხალხს, შეცდმით ეწოდებოდა კოლხები, „განურჩევლად მათი ეთნიკური მიკუთვნებულობის“, რასაც ქვემოთ კონკრეტული მაგალითის საფუძველზე შევხვდებით.

ქართველებისგან მაქსიმალური გამიჯვნის ხარჯზე, ავტორები ცდილობენ თავიანთი ისტორია და ნათესაური კავშირი სხვა ხალხებს დაუკავშირონ. ერთ-ერთი პირველი ხალხი, ვისთანაც მჭირდო კავშირის ჩვენებას ცდილობენ, როგორც ვნახეთ, ხეთები არიან.

რკინის ეპოქის აღწერისას აქცეტი ისევ ხეთებთან სიახლოვეზე კეთება. აღნიშნულია, რომ პირველად რკინის მოხსენიება ხეთურ ტექსტებში გვხვდება, ხოლო ხეთების ძალაუფლების კლებასთან და მისსხვადასხვა ტომებად დაშლასთან ერთად რკინის კულტურის გავრცელება მის მონათესავე ხალხებში ხდება. მათ შორის აღნიშნულნი არიან ქასქები და აბემლები, რომლებიც ხეთების ენაზე მეტყველებდნენ და ისევე როგორც თავად ხეთები, აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფს მიეკუთნებოდნენ.

გარდა იმისა, რომ აფხაზები აფხაზეთის ტერიტორიაზე თავიანთი სიძველის ხაზგასმასახდენენ, სპილენძის, ბრინჯაოსა და რკინის ხანის ნასახლარების ჩამოთვლისას აქცენტს განვითარებულობაზე, აქტიურ ცხოვრების წესსა და რეგიონში მათ წამყვან როლზეც აკეთებენ:

*„...ყველაფერი ეს მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზეთი კავკასიაში მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა... აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინის გამოყენება დაახლოებით ჩვ.წ აღრიცხვამდე VIII საუკუნეში იწყება და დაახლოებით იმავე დროს, როცა ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთსა და სპარსეთში.“ (Куакуаскир 2010, 10-11)*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემული ისტორიული პერიოდის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, აფხაზი ხალხის ეთნოგენეზის კონცეფციის შექმნით, ქართველებისგან მაქსიმალური გამიჯვნისა და ტერიტორიული პრეტენზიების ლეგიტიმაცისათვის, ისტორიული მტკიცებულებების შექმნა წარმოადგენს. ამ ნაწილში ავტორები ცდილობენ იდენტობის თანამედროვე პრობლემებს გასცენ პასუხი.

აფხაზთა ეთნოგენეზზე საუბარი იმის ხახვასმით იწყება, რომ „აფხაზები - კავკასიის უძველესი მოსახლეები“ არიან. (Kyakyaskir 2010, 14)

*„მეცნიერება ყოველთვის არ გვაძლევს საჭირო მონაცემებს, რომ საბოლოოდ გადავწყვიტოთ ამა თუ იმ ხალხის წარმომავლობის საკითხი. მიუხედავად ამისა, ისტორიკოსებმა შეაგროვეს დიდი მასალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ იმის შესახებ, რომ აფხაზებისა და მისი მონათესავე ხალხის - ადღეთა, განსახლების ტერიტორია დასავლეთ კავკასია და მცირე აზიის მიმდებარე რაიონებია, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ.“ (იქვე)*

ამ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად არქეოლოგიური აღმოჩენები და ლინგვისტური მოცემულობები მოჰყავთ კერძოდ, ის, რომ მეცნიერთა აზრით(თუმცა დაკონკრეტებული არ არის კონკრეტულად ვის მისაზრებაზე საუბრობენ), ადგილმდებარეობათა დატომთა დასახელებების ახსნა, მხოლოდ აფხაზურ-ადიღურ ენათა დახმარებითაა შესაძლებელი.

*„კავკასიაში მცხოვრები ხალხები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან საერთო წარმომავლობით. ამიტომაც აფხაზი ხალხის ფესვების ძიება უნდა დაიწყოს იმ საერთო სამყაროში, რომელიც ოდესღაც როგორც აფხაზებს, ისე ადიღებს ეკუთვნოდათ. აფხაზები და ადიღები ენით, კულტურითა და მენტალიტეტით ახლოს არიან ერთმანეთთან.“ (Kyakyaskir 2010, 14).*

ამასთან, კიდევ ერთხელ კეთება აქცენტი ხეთებთან კავშირზე. კვეკვესკირის მტკიცებით, ადიღე-აფხაზთა წარმოშობა-ფორმირების საწყის ეტაპზე ხეთებთან კავშირიაშკარა-

„ხეთები, როგორც აფხაზთა, ასევე ადიღეთა, ქასქებისა და აბეშლების მონათესავე ხალხიცაა. შორეულ წარსულში აფხაზებსა და ადიღებს საერთო ფუძეენა ჰქონდათ, რომელშიც ასევე შედიოდა, ამჟამად მკვდარი, ხეთური ენაც.“ (Куакуаскир 2010, 15).

აბეშლას ტომებს ძველ აფხაზურ ტომ აფშილებთან (Апсилы) აკავშირებენ და იქვე მოჰყავთ მეცნიერთა ვარაუდი, რომ სიტყვები აბეშლა და აფშილა ერთი ძირიდან მოდის, თავად აფხაზთა დასახელება აფსუა (афсуа), სიტყვა აფშილა დანმოდინარეობს.

ბლაჟასა და ლაკობასთან, ისევე როგორც კვეკვესკირთან, ძველ აფხაზურ ტომებად მიჩნეულნი არიან ჰენიოხებიც. (Бражнa&Лaкoнa, 2015, 59).

„ძვ.წ VI-II საუკუნეებში, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები, კოლხებად იწოდებოდნენ. სახელწოდება ვრცელდებოდა აფხაზეთის მცხოვრებელ ჰენიოხებზე - ძველ აფხაზურ ტომთა კავშირის წარმომადგენლებზე. ჩვ.წ I საუკუნისთვის ჰენიოხ ტომთა კავშირი დაიშალა სანიგებად, აბაზგებად, აფშილებად და მისიმელებად - აფხაზთა აწინელი წინაპრები.“ (Куакуаскиრ 2010, 32-33).

აფხაზების ჰენიოხებთან დაკავშირებით, ორივე ავტორი ცდილობს აფხაზთა ეთნოგენეზის ისტორია კიდევ უფრო შორეული წარსულიდან დაიწყოს. ამასთან, იმდენად ცდილობენ კოლხური კულტურის დაშორებას, ისტორიის რეკონსტრუქციის ყველაზე თვალსაჩინო ხერხს მიმართავენ.

2006 წელს გამოცემულ ბლაჟასა და ლაკობას სახელმძღვანელოში ვკითხულობთ:

„...აფხაზეთის ტერიტორიაზე ადგილობრივმა ტომებმა (ჰენიოხები, კორაქსები და სხვ.) კოლხური კულტურის ყველაზე ბრწყინვალე „აფხაზური“ ვერსია შექმნეს... მაშინ როცა ძველქართველური (ძრენეკარტველსკიე) ტომები (კოლხები ვიწრო გაგებით) ჯერ კიდევ ძვ.წ V საუკუნეში ფაზისის სამხრეთით სახლობდნენ, უფრო ზუსტად გალისის რაიონში (თანამ. ყიზილ-ირმაკი თურქეთში), სანამ

*ცენტრალური კოლხეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით თანდათან ჰენიოხების ჩანაცვლება არ დაიწყეს.* (Бгажба&Лакоба, 2006, 62).

იგივე პასაჟი უკვე 2015 წლის გამოცემაში:

*„...აფხაზეთის ტერიტორიაზე ადგილობრივმა ტომებმა (ჰენიოხები, კორაქსები და სხვ.) გვიანბრინჯაოს ხანის კულტურის ყველაზე ბრწყინვალე „აფხაზური“ ვერსია შექმნეს...მაშინ როცა ძველქართველური(древнекартвельские) ტომები(კოლხები ვიწრო გაგებით) ჯერ კიდევ ძვ.წ V საუკუნეში ფაზისის სამხრეთით სახლობდნენ, უფრო ზუსტად გალისის რაიონში (თანამ.ყიზილ-ირმაკი თურქეთში), სანამ ცენტრალური კოლხეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით თანდათან ჰენიოხების ჩანაცვლება არ დაიწყეს.“* (Бгажба&Лакоба, 2015, 68).

აღნიშნული აზრად რამდენი ფაქტორის გამოა საყურადღებო. პირველი, რაც თვალში საცემია, ავტორთა თავდაპირველი ვარიანტი აფხაზური კულტურის კოლხური ვერსიის შესახებ, შეცვლილია გვიანბრინჯაოს ხანის კულტურის ვერსიად. მეორე, ამ ამზაცში მკაფიოდაა ხაზგასმული, რომ ქართველური ტომები მხოლოდ ფაზისს ქვემოთ, მის სამხრეთით ცხოვრობდნენ და შემდეგ დაიწყეს ჰენიოხების, ანუ შეგვიძლია ვთქვათ ძველიაფხაზების, „თანდათანობით ჩანაცვლება“. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართველები არიან ისსხვები/არაადგილობრივები, რომლებიც მოვიდნენ აფხაზთა ძირძველ ტერიტორიაზე და დაიწყეს აფხაზთა ჩანაცვლება. „ჩანაცვლებაში“ შესაძლოა იგულისხმებოდეს განდევნა, შევიწროება ან ასიმილირება.

ამასთან, იმავე ავტორთა სახელმძღვანელოში ადრეულ ანტიკურ ავტორთა კრიტიკაცაა მოყვანილი, რადგან, როგორც წიგნში ვკითხულობთ, ისინი საწყის ეტაპზე კრებით სახელ კოლხებად მოიხსენიებდნენ გეოგრაფიულად განსაზღვრულ კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ხალხს, რადგან მაშინ მათ „აბსოლუტურად არ ადარდებდათ ნაციონალური ასპექტი“. (Бгажба&Лакоба, 2015, 66)

გარდა ამისა, სახელმძღვანელოს მიხედვით, არ არის გამორიცხული, ძვ.წ IV-II საუკუნეებში უკვე ეარსება „დიოსკურიის სამეფოს“ (ტერიტორია გულრიფშიდან გუანდრემდე), რომელიც თავისი გავლენის სფეროში ჰენიოხთა ოთხ „სამეფოს“ მოიცავდა. ამ ვარაუდით, აფხაზებს ეთნიკურთან ერთად პოლიტიკური ფაქტორიც შემოაქვთ, რაც კიდევ უფრო ამყარებს მათ დღევანდელ პრეტენზიებს.

ანტიკურ დროში აფხაზეთში მცხოვრები ტომების დასახელებათა წყაროებად ცნობილი ბერძენი, რომელი და ბიზანტიელი ისტორიკოსების შრომებია დასახელებული. მათ შორის, ყველაზე ხშირად ვხვდებით ბერძენ გეოგრაფსა და ისტორიკოს სტრაბონს, რომელის „გეოგრაფიაში“, აფხაზ ისტორიკოსთა აზრით, მოთხრობილია ძველ აფხაზური ტომების - ჰენიოხების შესახებ“.

მხოლოდ ჰენიოხებთან დაკავშირებული პასაჟებიც კი საკმარისია იმისთვის, რომ აფხაზებმა შექმნან იდენტობა, რომელიც სრულიად ჩამოცილებული იქნება ქართველებს. ტექსტში ხაზგასმულია, რომ ჰენიოხები კოლხები არ არიან კოლხებად იწოდებოდნენ იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ტომი, მათ შორის ჰენიოხები, თავად კოლხები და ბერძენი მაცხოვრებლებიც კი. (Бгажба & Лакоба, 2015, 71)

ბერძნულ კოლონიზაციაზე საუბრისას აფხაზი ისტორიკოსები ადგილობრივ, ძველ აფხაზურ ტომთა ისტორიულ ბედს მჭიდროდ უკავშირებენ ძველ ბერძნულ სამყაროს. მათი აღწერით, აფხაზეთში ბერძენთა ეკონომიკური და კულტურული გავლენა 500 წელი გრძელდებოდა, მათ დააარსეს პირველი ქალქ-კოლონიები და დანერგეს ქალაქური ცხოვრების წესი. (Куакуаскир 2010, 24)

განსაკუთრებული სიამაყით საუბრობენ 2500 წლის წინ დაარსებულ დიოსკურიაზე/დიოსკურიადაზე. დიოსკურიელი ვაჭრები გაცხოველებულ ყიდვა-გაყიდვა ეწეოდნენ სხვა მრავალრიცხოვან კავკასიელ ტომებთან. (Куакуаскир 2010, 25)

ძვ.წ II საუკუნის ბოლოდან აფხაზეთი ექცევა პონტოს სამეფოს მმართველობის ქვეშ. გნეუს პომპეუსის ძვ.წ 66 წლის ლაშქრობა სხვადასხვანაირად არის აღწერილი ქართულ და აფხაზურ წყაროებში.

საინტერესოა კვეკვესკირის მიერ, აფხაზეთში რომაელების გამოჩენის აღწერა: „რომი აღიარებდა იმ დროისათვის არსებულ/განვითარებულ ძველ აფხაზურ „სამეფოებს“ - აფშილები, აბაზგები, სანიგები“ (Куакуаскир 2010, 29).

ბერძენთა და ადგილობრივ მაცხოვრებელთა ორმხრივმა ურთიერთობებმა ანარეკლი არგონავტების მითში ნახა. (Куакуаскиრ 2010, 25) ბლაჟბასა და ლაკობას მიხედვით, არგონავტების ერთ-ერთი პერსონაჟის, აიეტის ვაჟის სახელი - აფსირტე, შეესაბამება თავად აფხაზთა სახელწოდებას აფს-უა, აფშ-ილ (*შესაძლოა, სახელი აფსირტე, მოდის კიდევ უფრო ძველ აფხაზ-ადილეთა, ქასქებ-აბემლათაწინაპრებიდან, რომლებიც ადრე ასირიულ წარწერებში იყვნენ მოხსენიებულნი*). (Бгажба&Лакоба, 2015, 66)

ანტიკური ხანის ისტორიკოსთა ნაშრომებს, რომელთა მიხედვითაც, ამ ტერიტორიაზე აფხაზთა სიძველე და მათი ჰენიოხებთან კავშირი მტკიცდება, სახელმძღვანელოში არაერთგან შეხვდებით:

- ✓ *პლინიუს უფროსი* - რომაელი ავტორი, ჩვ.წ I საუკუნე, წერდა აფხაზთა ანტიკურ წინაპრებზე.
- ✓ *ფლავიუს არიანე* - ძველი ბერძენი ისტორიკოსი და მწერალი, 137 წელს იმოგზაურა შავი ზღვის სანაპიროებზე, თანამედროვე სოხუმამდე, ახსნებს ძველ აფხაზურ ტომებს - აფშილებს, აბაზგებს, სანიგებსა და მათ „მეფეებს“.
- ✓ *პროკოპი კესარიელი* - ბიზანტიელი ისტორიკოსი, ჩვ.წ VI ს. მის შრომებში „გოთებთან ომი“, „სპარსელთა წინაარმდეგ მებრძოლ რომაელ ჯარისკაცთა ისტორია“ - შესძლებელია ვიპოვოთ ყველაზე სანდო ცნობები აფშილებისა და აბაზგების შესახებ.



✓ აგათია სქოლასტიკოსი - ბიზანტიელი ბერძენი, ჰყვება 554-555 წლებში აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე, მისიმიანთაბრძოლაზე ბიზანტიის წინააღმდეგ. (Куакуаскир 2010, 32)

აღსანიშნავია, რომ ანტიკურ ისტორიკოსთა შრომების დამოწმებისას, არ ხდება მათი ციტირება, არ ჩანს თუ რა კონტექსტში, რა ფორმით, როგორ არიან მოხსენიებულნი აფხაზეთა წინაპრები.

ბერძნული კოლონიზაციის პერიოდზე საუბრისას, ბერძნული კოლონიების აფხაზეთის ტერიტორიაზე დაარსება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ამით აფხაზეთა რეგიონში დაწინაურებას და მათ წამყვან როლს აჩვენებენ.

ბერძნულ ახალშენებთანაა დაკავშირებული ქრისტიანობის გავრცელებაც. აღნიშნულია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქრისტიანული სწავლების გავრცელება ბერძნული ახალშენების კვალდაკვალ ხდებოდა. რა თქმა უნდა, ხაზგასმულია სვიმონ კანანელისა და ანდრეა პირველწოდებულის ღვაწლიც.

სახელმძღვანელოს მიხედვით, ჩვ.წ III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისისთვის, *პიტიუნტიკავკასიაში ქრისტიანული საზოგადოების უძველესი ცენტრი იყო*. აფშილების გაქრისტიანებას, მის ოფიციალურად მიღებას, VI საუკუნის 20-30იანი წლებით ათარიღებენ. აბასგებმა იმპერატორ იუსტინიანეს დროს, 527-565 წლებში მიიღეს ქრისტიანობა. აფშილების მეზობლად ქრისტიანობის გავრცელებისას ახენებენ ლაზებს და ამბობენ, რომ ეს V საუკუნის შუა ხანებში მოხდა (Бражнда&Лакоба, 2015, 119-127). ამასთან, 325 წლის ნიკეის პირველ საეკლესიო კრებაის მონაწილეთა სიაში მოხსენიებულია პიტიუნტის ეპისკოპოსი სტრატოფილე (Куакуаскиრ 2010, 59). აფხაზეთის კათალიკოსი კონსტანტინეპოლის პატრიარქს ემორჩილებოდა. აფხაზეთი, მისი პოლიტიკური გავლენისა და ტერიტორიის სიდიდის წყალობით, კავკასიის სხვა ხალხთა გაქრისტიანებასაც უწყობდა ხელს. მაგალითისთვის მოყვანილია ჩრდილოკავკასიელ ხალხები, მათ შორის ალანები (Куакуаскиრ 2010, 60).

აფხაზთა შორის ქრისტეს სარწმუნოების გავრცელების უტყუარობის დასამოწმებლად ტექსტში მოყვანილია ამონარიდი „აზო თბილელის წამებიდან.“

*„აზო თბილელის წამებაში“ (786 წ.) აფხაზეთი უკვე მოიხსენიება „ქრისტესმოყვარულ ქვეყნად, თავისი მმართველებით, ეპისკოპოსებითა და მღვდლებით“ (Бгажба&Лакоба, 2015, 138).*

არაფერია ნათქვამი ქართლის გაქრისტიანებაზე, წმინდა ნინოს შემოსვლაზე და იქ მიმდინარე პროცესებზე.

➤ **ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნე - ფეოდალიზმის ხანის დასასრული (1870 წელი)**

მოცემული ისტორიული პერიოდის შესახებ თხრობის დაწყებამდე, პატარა ჩანართია გაკეთებული მოსწავლეებისათვის - ავტორის მიმართვა:

*„ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ ვაგრძელებთ აფხაზეთის ისტორიის შემდეგი ეტაპის (VIII-XIII საუკუნეები) შესწავლას. აფხაზეთის სამეფომ განვითარების უმაღლეს საფეხურს X საუკუნეში მიაღწია, მაგრამ შემდეგ აფხაზ მეფეთა დინასტია მამრობითი ხაზით წყდება და ძალაუფლება გადადის ბაგრატ III-ის ხელში, რომელსაც ტატხი მემკვიდრეობით დედის, ლეონიდების დინასტიის, მხრიდან ერგო“ (Куакуаскир 2010, 84).*

ამონარიდიდან ნათლად ჩანს, რომ მოცემული პერიოდის ყველაზე მთავარ მოვლენებს აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბება, განვითარება და მისი აფხაზურ-ქართულ სამეფოდ გადაქცევა წარმოადგენს.

თუ აფხაზური იდენტობის ჩამოყალიბებაში წინა ქვეთავის მთავარ მიზანს აფხაზთა მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ხალხად წარმოჩენა, კავკასიაში და კერძოდ, აფხაზეთის

ტერიტორიაზე მათი ავტოქტონობის ლეგიტიმაცია და ეთნიკური კავშირების ძეგაში ქართველთაგან მაქსიმალური გამიჯვნა წარმოადგენდა, მოცემული ქვეთავი არანაკლებ მნიშვნელოვანია აფხაზთა მიერ თვითგანსაზღვრისა და სუვერენულ სახელმწიფოდ ყოფნის პრეტენზიათა დაკმაყოფილების გზაზე.

მნიშვნელოვანია, თუ როგორაა აღწერილი აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბების პროცესი, მისი საზღვრები და თავად მისი დასახელება. როგორაა აღწერილი მისი სამეზობლო, ხალხები, რომელთანაც მათ ურთიერთობა და მჭიდრო კავშირი ჰქონდათ. როგორი ვითარდება დამოუკიდებელი აფხაზთა სამეფო, რა როლს თამაშობს ის რეგიონში და რა ხდება ბაგრატ III-ის (975-1014 წლები) გამეფებით. აფხაზურ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით ამ კითხვებზე პასუხი, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თანამედროვე აფხაზთა წარმოდგენას აფხაზეთის, როგორც საქართველოსგან დამოუკიდებელი, სუვერენული პოლიტიკური ერთეულის არსებობაზე.

აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბებამდე, ისტორიის მნიშვნელოვან ფურცლებადაა მიჩნეული ძველაფხაზური ტომების თავისუფლებისათვის ბრძოლა. იგულისხმება 550 წლის აბაზგთა აჯანყება ბიზანტიის წინააღმდეგ და ტრაქეის ბრძოლა. ასევე, აფშილების სპარსელების, ხოლო მისიმიელთა 555 წლის ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყებები (Куакуаскир 2010, 44-57). აღსანიშნავია, რომ ზოგადად ამ პერიოდისა და კონკრეტული ბრძოლების აღწერისას, ფაქტობრივად, აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე, ეგრისაა და ქართლში მიმდინარე პროცესები იგნორირებულია. მაგალითად, ვახტანგ V-ის მეფობა და მისი ლაშქრობები ჩრდილოეთ-შავიზღვისპირეთსა და ირანის ბატონობის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლები. აფხაზი ტომების კონსოლიდაციის პარალელურად, მოსწავლისათვის გაურკვეველია რა პროცესები მიმდინარეობს ამიერკავკასიის დანარჩენ ტერიტორიაზე, რომელი სამეფო-სამთავროები ყალიბდებოდა და რა კავშირი/ურთიერთობა გააჩნია მათთან აფხაზეთა გაერთიანებას.

მნიშვნელოვანი თარიღია 738 წელი და არაბთა დამარცხება ანაკოფიის ციხესთან, რომელსაც ორი ათასი აბაზგი და ქართლიდან გაქცეულ მირთან და არჩილთან ერთად,

ათასი ქართლელი იცავდა (Бражна&Лакоба, 2015, 135). ეს ერთ-ერთი პირველი შემთხვევაა, როდესაც ტექსტში ქართლის/ქართლელების ხსენება ხდება. თუმცა, ალბათ, ამის მიზეზი არაბებთან გამარჯვების აღსანიშნავად და მადლიერების გამოსახატად, ლეონ I-სათვის ქართლის მეფე არჩილის მიერ აღმოსავლეთით მდებარე სადაო მიწების (სურამის ქედამდე) გადასცემის ხაზგასმა იყო (Куакуаскиრ 2010, 65-66).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოცემულ საქართველოს ისტორიის მეორე ტომში ვკითხულობთ:

*„მაშინ მისცა (არჩილმა) ლეონს ცოლად ძმისწული მისი გუარანდუხტ და... ყვეს აღთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არა იყოს მტერობა შორის მათსა, არამედ ერჩდეს (ემორჩილებოდეს) ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2015, II, 110).*

ქართველი ისტორიკოსების მიხედვით, არჩილის მიერ უფროსი ქალიშვილის აფხაზთა ერისთავ ლეონზე მითხოვებით, დინასტიური ქორწინებით, განხორციელდა აფხაზეთისა და ეგრისის, დასავლეთ საქართველოს გაერთიანება, აფხაზთა ერისთავით სათავეში. ეს სამთავრო ეგრისის (ლაზეთის) სამეფოს მემკვიდრე იყო ტერიტორიულად, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით, რელიგიურ-კულტურული ტრადიციებით. მას „აფხაზთა“ სამთავრო (შემდეგ) სამეფო ეწოდა (ასათიანი, ლორთქიფანიძე & ლომაშვილი, 2012, 107).

აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელოებში აფხაზური მიწების გაერთიანების ცენტრად აბაზგთა მიწა - აბაზგიაა წარმოჩენილი. ავტორთა აღწერით, აბაზგები სხვა ძველაფხაზურ ტომებთან შედარებით, ყველაზე მეტად იყვნენ დაწინაურებული პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად, რამაც ხელი შეუწყო აბაზგთა მეთაურობით დანარჩენი აფხაზური ტომების გაერთიანებასა და VII საუკუნის დასასრულს აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბებას.

ბლაჟბა და ლაკობა განსაკუთრებულად უსვამენ ხაზს, იმას რომ ჯერ კიდევ აფხაზთა სამეფომდე, უკვე VII-VIII საუკუნის დასაწყისში აფხაზეთში ძალაუფლების

მემკვიდრეობითი გადაცემის ტრადიცია არსებობდა, რასაც „აფხაზ მეფეთა დივანი (Диван абхазских царей)“ მოწმობს. დივანის მიხედვით, პირველი მმართველი ანოსი იყო, ლეონ I დასახელებულია მეთერთმეტე მმართველად, ხოლო ბაგრატ III - უკანასკნელად (Бгажба&Лакоба, 2015, 135).

786 წელი აფხაზთა სამეფო ისტორიის დასაწყისია. ამ დროისათვის დასრულებულია აფხაზურ ტომთა, აბაზგების, აფშილების, სანიგებისა და მისინიელების, ერთიან აფხაზური ფეოდალური ერთობად (народность) კონსოლიდაცია (Куакуаскир 2010, 70).

ხაზგასმულია აფხაზთა პირველ მეფის, ლეონ II-ის, დედის მხრიდან ნათესაური კავშირი ხაზართა მეფისა ბიზანტიის იმპერატორ ლევ ხაზართან(775-780). ავტორთა განმარტებით, „ბიზანტიამ აფხაზთა სამეფო არაბთა შემოსევების წინააღმდეგ ფარად გამოიყენა და ხელი შეუწყო აბაზგების საზღვრის გაფართოებას ჯერ აფშილის, მისიმის, ზღვისპირა ლაზიკისა და მოგვიანებით მთელი კოლხეთის ხანჯზე“ (Бгажба&Лакоба, 2015, 135).

საყურადღებოა, თუ როგორ არის გადმოცემული ცნობა ლეონ II-ის მიერ დედაქალაქის ანაკოფიდან ქუთაისში გადმოტანის შესახებ:

*„ლეონ II-ემ თავისი ცხოვრების ბოლო წლებში (806 წ.) აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქი ანაკოფიდან (თანამ. ახალი ათონი) ქ.ქუთაისში გადაიტანა. მაგრამ ეს, არავითარ შემთხვევაში, არ იყო „საერთოქართული“ პოლიტიკის მანიფესტაცია. აფხაზური სამეფოს აღმოსავლეთით ექსპანსიამ მკვიდრი ეთნიკური ელემენტის მთელს ტერიტორიაზე (გაგრიდან ენგურამდე) არა მხოლოდ კონსერვაცია, არამედ კოლხეთის, ქართლისა და მესხეთის რაიონებში გავრცელებაც მოახდინა. რამაც დროთა განმავლობაში, ობიექტურად მიგვიყვანა ამ ტერიტორიების გაერთიანებამდე. ასე შეიქმნა ფარი არაბული შემოსევების წინააღმდეგ“ (Бгажба&Лакоба, 2015, 135).*

მოცემულ ამონარიდში რამდენიმე საყურადღებო გზავნილის ამოკითხვაა შესაძლებელი. უპირველეს ყოვლისა, აქ ავტორები ძალიან მკაფიოდ აფიქსირებენ აზრს, რომ არ

არსებობდა რაიმე სახის „საერთოქართული“ პოლიტიკა, ან ასეთის არსებობის შემთხვევაშიც კი, აფხაზები არ ყოფილან მისი ნაწილი. არცერთ სახელმძღვანელოში არაა ნახსენები დასავლეთ საქართველოს/დასავლეთ ქართული სამეფოს კონცეფცია. მთელი ეს ტერიტორია ყოველთვის იყო მხოლოდ „აფხაზეთის სამეფო“ და არა „დასავლურ ქართული სახელმწიფო, ეგრის-აფხაზეთი იგივე „აფხაზეთის“ სამეფო“ (ასათიანი, ლორთქიფანიძე & ლომაშვილი, 2012, 105), როგორც ეს ქართულ სახელმძღვანელოებშია გადმოცემული. აფხაზთა სამეფოს მიერ ტერიტორიების გაფართოება ბუნებრივ პროცესად, ობიექტურ რეალობადაა წარმოჩენილი და არა რაიმე წინასწარგანსახდვრული პოლიტიკური ქმედების შედეგად. მეორე, „მკვიდრი ეთნიკური ელემენტის“ ხსენებით, კიდევ ერთხელაა ხაზგასმული განსხვავება აფხაზებსა და დანარჩენ ერთეულებს (კოლხეთის, ქართლისა და მესხეთს) შორის.

ამასთან, საქართველოს ისტორიის ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოში ლეონისა და მისი მემკვიდრეების რეფორმებთან დაკავშირებით ვკითხულობთ:

*„...სამეფოს დედაქალაქი ანაკოფიიდან ქუთაისში, ამ ერთ-ერთ უძველეს ქართულ ქალაქში გადაიტანეს, აფხაზეთის ეკლესია, რომელიც უშუალოდ კონსტანტინეპოლის სამწყსოში შედიოდა, ბიზანტიის დედაქალაქიდან გამოყვეს და ქართულ ეკლესიას, მცხეთის ტახტს დაუქვემდებარეს, VIII საუკუნის ბოლოდან თუ არა IX საუკუნის დასაწყისიდან სამეფოში საეკლესიო წირვა ლოცვის, სახელმწიფო მმართველობის, მწერლობის ენა ქართული იყო. სამეფო აქტიურად ჩაება იმ დიდ ბრძოლაში, რომლის საბოლოო შედეგი ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება იქნებოდა...“ (ასათიანი, ლორთქიფანიძე & ლომაშვილი, 2012, 107).*

აფხაზეთის სამეფოს რუკას თუ დავხედავთ, დავინახავთ, რომ ის მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს. ჩრდილოეთით მისი საზღვარი ნიკოფსიამდე მიდის, აღმოსავლეთით სურამის ქედს მიუყვება, სამხრეთით მდ.ჭოროხზე გადის, ხოლო

დასავლეთით შავი ზღვის სანაპიროს მიჰყვება (იხ.დანართი 1). არტანუჯის ციხე მოხსენიებულია „აზაზგიის გასაღებად“ (Бгажნა&Лакоბა, 2015, 144).

*„კუმურდოს ტაძარზე შემორჩენილი წარწერა (964 წ.) გვეუბნება, რომ X საუკუნის შუა ხანებში აფხაზთა მეფე ლეონ III-ის ძალაუფლება ჯავახეთზეც ვრცელდებოდა. შესაბამისად, აფხაზეთა სამეფოს საზღვარი ახალქალაქის რაიონზე გადიოდა“ (Бгажნა&Лакоბა, 2015, 143).*

სომეხ გეოგრაფ აშხარჰაცუიცზე დაყრდნობით, ავტორი აკონკრეტებს ეთნოპოლიტიკურ საზღვარს საქართველოსა და აფხაზეთს შორის.

*„თანამედროვე გაგებით აფხაზეთსა და საქართველოს შორის საზღვარი VII საუკუნეში გადიოდა მდ.ენგურზე (ასე იყო ადრე, VI საუკუნეში და შემდეგ - VIII საუკუნის შუა ხანებშიც“ (Бгажნა&Лакоბა, 2015, 159).*

მთელი ეს პერიოდი აქცენტი კეთდება იმაზე, რომ აფხაზთა სამეფო არ იყო ქართული პოლიტიკური ერთეული, ის იყო დამოუკიდებლად განვითარებული „სხვა“. აფხაზები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ აფხაზური ტომების გაერთიანებით, რომლებსაც საფუძვლიდანვე არანაირი კავშირი არ ჰქონდათ ქართველურ ტომებთან, დამოუკიდებლად განვითარდნენ, შექმნეს მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები, დაწინაურდნენ ეკონომიკურად და იქცნენ ანგარიშგასაწევ ძალად. საბოლოოდ კი, მოახერხეს გაერთიანება და აფხაზური ფეოდალური ერთობის ჩამოყალიბება. ასევე, ქართველებიგან დამოუკიდებლად, მათ საზოგადოებაში მკვიდრდება ძალაუფლების მემკვიდრეობით გადაცემის ტრადიცია და საბოლოოდ, ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაწინაურებული ფეოდალური ერთობა, საერთაშორისო მხარდაჭერით (იგულისხმება ბიზანტიისა და ხაზართა დაინტერესება) ქმნის სამეფოს. აფხაზთა სამეფოს განვითარების, სოციალური წყობისა და კულტურის აღწერისას, გამუდმებით კეთდება აქცენტი, რომ ეს არ იყო დასავლურ ქართული სახელმწიფო და იყო მხოლოდ „აფხაზთა სამეფო“, ქართველთა მიწების ხარჯზე გაფართოება კი იყო ბუნებრივი პროცესი, რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად.

*„აფხაზეთის სამეფოს ისტორია - ესაა ისტორია თავისი [აფხაზეთა სამეფოს] ტერიტორიის გაფართოებისა, რეგიონში გავლენის სფეროს გაზრდისათვის. იმის გამო, რომ კავკასიის მთავარი ქედი გეოგრაფიულ დაბრკოლებას ქმნიდა და ჩრდილოეთით ხაზარები იყვნენ, აფხაზეთა სამეფო აღმოსავლეთით ფართოვდებოდა, ქართველთა მიწების ხარჯზე, რომლებიც არაბთა შემოსევებით იყო დასუსტებული“ (Куакуаскир 2010, 87).*

თავისთავად, აბსოლუტურად განსხვავებულია სამეფო-სამთავროების წარმოქმნის ქართული ნარატივი.

VIII საუკუნის ბოლოდან იწყება საქართველოს განაპირა რეგიონებში ზედიზედ რამდენიმე ახალი ქართული სამეფო-სამთავროს ჩამოყალიბება.

*„VIII საუკუნის დასარული და IX საუკუნის დასწყისში საქართველოს მიწა-წყალზე, კახეთის, ერთიანი დასავლურ-ქართული, ეგრის-აფხაზეთის, ჰერეთისა და ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა, ქართველთა სამეფო-სამთავროები წარმოიქმნება. საქართველოს ცალკეულ კუთხეთა ადგილობრივ გაერთიანებათა წარმოქმნა ქმნის რეალურ წინაპირობას შემდგომი გაერთიანებისათვის, რომელიც საბოლოოდ ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნით დასრულდა“ (ასათიანი, ლორთქიფანიძე & ლომაშვილი, 2012, 105).*

სწორედ აქა არის გამოხატული ერთ-ერთი მთავარი წინააღმდეგობა ქართულ და აფხაზურ ნარატივებს შორის. ქართველი ისტორიკოსებისთვის ბაგრატ III-ის გამეფება იყო „ერთიანიქართული პროექტის“ განხორციელება, დაგვირგვინება. აფხაზებისთვის კი, ბაგრატ III-ის გამეფებით „აფხაზ მეფეთა დინასტია მამრობითი ხაზით წყდება“, იქმნება „აფხაზეთა და ქართველთა სამეფო“ და არა გაერთიანებული საქართველო. მას შემდეგაც კი, რაც ბაგრატ მესამეს „ქართლის საქმეებს მოწესრიგება“ მოუხდა (Куакуаскиრ 2010, 87), ტაო-კლარჯეთის ფორმალური მმართველი გახდა და გურგენის სიკვდილის შემდეგ კი კახეთი და ეგრისიც შემოიერთა - აფხაზებისთვის ისევ „აფხაზეთა და ქართველთა სამეფო“-ა და არა გაერთიანებული საქართველო.



საქართველოს ისტორიაში ბაგრატის გამეფება აღწერილია, როგორც ქართული პოლიტიკური ერთეულების ნების აღსრულება ქვეყნის გაერთიანებისათვის, გაძლიერებისა და გამთლიანებისათვის. აფხაზებისთვის კი, ეს იყო ობიექტური პროცესებით განპირობებული რეალობა.

მთელ იმ პერიოდს, რომელსაც ქართველი ისტორიკოსები გაერთიანებული საქართველოს ეპოქას უწოდებენ, აფხაზებისთვის მხოლოდდამხოლოდ „აფხაზთა და ქართველთა სამეფო“-ს ეპოქაა. ამ ნარატივის დადასტურებაა შემდეგი ფრაზაც:

*„ამით [ბაგრატ III-ის გამეფების აქტით] არ სრულდება აფხაზეთის სამეფოს ისტორია. ხდება თანდათანობით გადასვლა „აფხაზთა და ქართველთა სამეფოს“ პერიოდზე“* (Бгажба&Лакоба, 2015, 144).

ვფიქრობ, რომ ეს მოსაზრება ერთ-ერთი ქვაკუთხედი აფხაზური იდენტობის მშენებლობის გზაზე. ამ მოსაზრებით, ისტორიკოსები ოლეგ ბლაჟბა და სტანისლავ ლაკობა პირდაპირ გვეუბნებიან, რომ აფხაზეთის სამეფო არასდროს გაუქმებულა, ის „აფხაზთა და ქართველთა სამეფოდ“ არსებობდა, აქედან გამომდინარე - არ უარსებია არც გაერთიანებულ საქართველოს. აფხაზეთი არასდროს იყო საქართველო, საქართველოს ნაწილი და შესაბამისად, ამ კონტექსტში ვერც გაერთიანებული საქართველო იარსებებდა.

ის, რომ აფხაზეთის სამეფო არ გაუქმებულა და ის „აფხაზთა და ქართველთა სამეფო“-ს, ორი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთობის (მხოლოდ ერთი მეფით) „შიგნით“ ცხოვრობდა, არის სამომავლო ლეგიტიმაცია იმ მოსაზრებისა, აფხაზებსა და ქართველებს გარდა სსრკ-სა ერთ სახელმწიფოდ ცხოვრების ისტორია არ აქვთ.

ავტორთა გადმოცემით, „აფხაზთა და ქართველთა სამეფო“ არ იყო მკაცრად ცენტრალიზებული სახელმწიფო, ხშირი იყო ფეოდალთა მცდელობები გათავისუფლებულიყვნენ მეფის ცენტრალური ხელისუფლებისაგან. თამარ მეფის დროსაც კი, დიდი გამოსვლა მოეწყო ცენტრალური მმართველობის საწინააღმდეგოდ.

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია აფხაზთა წამყვან როლზე „აფხაზთა და ქართველთა სამეფოში“. მათი აღწერით, აფხაზები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სამეფოს ცხოვრებაში, აქტიურად იყვნენ ჩართულნი იმ პერიოდში წარმოებულ ყველა ომში, მათ შორის დიდგორის ბრძოლაშიც. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თამარის ვაჟისათვის ორი სახელის, ლაშა-გიორგის, დარქმევა შესაძლოა სწორედ აფხაზების მნიშვნელოვანი როლის ხაზგასასმელად იყო დარქმეული, რადგან ლაშა აფხაზურად „ბრწყინვალეს, ნათელს“ ნიშნავს (Куакуаскир 2010, 96).

ჯერ კიდევ აფხაზთა სამეფოს აღწერისას, აღნიშნული იყო, რომ აფხაზები და ხაზარები არაბების ევროპისკენ სვლას აჩერებდნენ (Бгажба&Лакоба, 2015, 150). ორივე სახელმძღვანელოში აღწერილია ურთიერთობები მეზობელ სამეფო-სამთავროებთან - ხაზარებთან, ალანებთან, სომხებთან, ბიზანტიასთან, თუმცა ქართული სამთავროები საერთოდ არ არიან ნახსენებნი. სომეხთა და აფხაზთა სამეფოები მოხსენიებულია, როგორც „ორი უდიდესი სახელმწიფო ამიერკავკასიაში“ (Бгажба&Лакоба, 2015, 162). აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ქართველი ისტორიკოსები აღიარებენ აფხაზეთის როლს ქვეყნის გაერთიანებაში, კულტურასა თუ ეკონომიკაში, აფხაზური მხარე არათუ აღიარებს რაიმენაირ კავშირს ქართულ სახელმწიფოსთან, კულტურასთან, არამედ ყოველ შესაძლებლობაზე კატეგორიულად მიჯნავს ქართულს და აფხაზურს ერთმანეთისგან.

დაწინაურებული კულტურული ცხოვრების ფონზე, საინტერესოა, თუ როგორაა ენის ფაქტორი აღწერილი აფხაზურ სახელმძღვანელოში:

*„1404 წელს იოჰანეს გალონიფონტიბუსი ასე აღწერდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნოლინგვისტურ სურათს: ჩერქეზეთს შემდეგ მდებარეობს „აფხაზეთი - მთავორიანი პატარა ქვეყანა“, რომელსაც „თავისი ენა“ აქვს; აფხაზეთის სამხრეთით, „საქართველოს მხარეს“, მდებარეობს „ქვეყანა სამეგრელო“ და მასაც „თავისი ენა“ აქვს; ხოლო საქართველო მდებარეობს სამეგრელოს სამხრეთით და „თავისი ენა“ აქვს (Бгажба&Лакоба, 2015, 176).*

არანაირი სხვა ჩანართი ან კომენტარი აფხაზეთის სამეფოში ან შემდგომ, აფხაზთა და ქართველთა სამეფოში ეთნოლინგვისტურ მდგომარეობაზე სახელმძღვანელოებში საუბარი არ არის. მკაფიოდაა გამოკვეთილი აზრი, რომ ქართული წარწერები აფხაზეთის ტერიტორიაზე მხოლოდ(!) X საუკუნეში ჩნდება (Бгажба&Лакоба, 2015, 146).

ამ პერიოდის შემდგომი ისტორიული პროცესების აღწერიდან ჩვენთვის საინტერესო შესაძლოა, ის ფაქტორი იყოს, რომ აფხაზები გამუდმებით ხაზს უსვამენ, რომ მუდამ ცდილობდნენ დამოუკიდებლობის მოპოვებას, ცენტრალური ხელისუფლებისგან გათავისუფლებას. XIV საუკუნის ბოლოსთვის დაწყებული დაპირისპირება შერვაშიძეებისა და დადიანებს შორის, 30-წლიანი ომი, ერთგვარი გამოღვიძებაა აფხაზური „ეროვნული“ თვითმყოფადობის გზაზე. 1657 აფხაზებმა ლევან II დადიანის სიკვდილით ისარგებლეს და XVII საუკუნის დასასრულს აფხაზმა ფედოდალებმა შეძლეს კოდორიდან ენგურამდე ტერიტორიაზე ძალაუფლების აღდგენა.

*„ამ მოვლენათა შედეგად, ეთნიკური საზღვარი აფხაზებსა და ქართველებს შორის, რომელიც ჰერ კიდევ მეორე ათასწლეულის დასაწყისამდე გადიოდა, აღდგენილ იქნა. მან ერთდროულად შეიძინა სახელმწიფო პოლიტიკური სტატუსი, რომელიც უკვე 300 წელზე მეტია ნარჩუნდება“* (Бгажба&Лакоба, 2015, 187).

XVI საუკუნეში აფხაზეთში ისლამის გავრცელება იწყება, ხოლო უკვე XVII საუკუნისთვის ისლამი ძლიერდება და ქრისტიანობა სუსტება (Куакуаскир 2010, 116).

1770 წელს ლევან ჩაჩბას პირველი მოლაპარაკებას მართავს რუსეთთან. აფხაზეთის სამთავროს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლაზე მიმდინარეობს მოლაპარაკებებიო ტოტლებენტან. პარალელურად, ლევან ჩაჩბას მეთაურობით, სოხუმიდან თურქული განრიზონი განდევნეს (Куакуаскиრ 2010, 116).

1783 წელს რუსეთს შეუერთდა ყირიმი და ყუბანი, ამავე წელს დაიდო გეორგიევს ტრაქტატი.

➤ აფხაზეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

ეს პერიოდი აფხაზეთისთვის ცარიტული მმართველობის დამყარებას, მის წინააღმდეგ ბრძოლასა და ეთნიკურ შევიწროებასთან - გადასახლებათა სერიებთან ასოცირდება. აფხაზებს „*დამნაშავე*“ ხალხის (Бражна&Лакоба, 2015, 265) იარლიყს არგებენ და შესაბამისად, მათთვის საკმაოდ მტკივნეული და დრამატული ეპოქაა.

მოცემული ნაშრომისთვის ყველაზე საინტერესო ეპიზოდს სწორედ, გადასახლება-ჩასახლების პოლიტიკა წარმოადგენს. როგორ იცვლებოდა რეგიონის მოსახლეობაში ეთნიკური განაწილება და რის ხაზგასმას ცდილობენ აფხაზები გადასახლებებისა და ჩასახლებების პოლიტიკის აღწერისას?

თუ წინა ქვეთავებში აფხაზები ტერიტორიაზე ავტოქტონობას ამტკიცებდნენ და ქართველებთან ერთად „ცხოვრების“ ყოველგვარი ისტორიული კვალის გაქრობას ცდილობდნენ, მოცემულ ქვეთავში ცდილობენ ახსნას თუ როგორ მოხვდა აფხაზეთში ქართული მოსახლეობა. ქართველები გამოყვანილები არიან, როგორც კოლონიზატორები, რომლებმაც „*რუსეთის სამხედრო გამარჯვებებით მთლიანად ისარგებლეს*“ (Бражна&Лакоба, 2015, 271) და რეგიონში ტერიტორიების თვითნებურად მიტაცებითა და უკანონო დასახლებით შეცვალეს ხელოვნურად ეთნიკური სურათი.

გარდა ამისა, თუ საქართველოს ისტორიის IX კლასის სახელმძღვანელოში, რუსეთის მიერ სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროების გაუქმება საქართველოს პოლიტიკური დაპყრობის დასრულებადაა შეფასებული (ასათიანი, ლორთქიფანიძე & ლომაშვილი, 2012, 322), მოცემული პერიოდი მხოლოდ აფხაზურ კონტექსტშია განხილული, საქართველო და ქართველები (მეგრელები, სვანები) ნახსენები არიან მხოლოდ გადასახლება-ჩასახლების კონტექსტში. ამ პერიოდიდან იწყება ქართველის/საქართველოს მტრის ხატის შექმნა. თუ წინა ქვეთავების მიხედვით

ქართველებს ჯერ „უცხო“-ს, ხოლო შემდეგ - „სხვა“ იდენტობა ჰქონდათ მინიჭებული, აქ უკვე აშკარაა, რომ იწყება მისი „მტრად“ გადაქცევა.

მოცემული პერიოდს სწავლება რუსეთის იმპერიის, ინგლისისა და საფრანგეთის კავკასიის რეგიონით დაინტერესების მიზეზების ახსნით იწყება. აღნიშნულია, რომ რუსეთის მიზანს, შავ და კასპიის ზღვებზე გასასვლელის მოპოვება წარმოადგენდა. რუსეთ-თურქეთის ომებს შედეგად XVIII საუკუნის ბოლოსთვის კავკასიაში მისი პოზიციების გამყარება მოჰყვა. ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია რეგიონის ბუნებრივი სიმდიდრეებისა და აღმოსავლეთისაკენ კავკასიის ქვეყანათა სატრანზიტო გზის გაკონტროლება.

*„რუსეთისათვის მნიშვნელოვანი იყო თავისი მმართველობის გაძლიერება შავი ზღვის სანაპიროზე, განსაკუთრებით, აფხაზეთში. რუსეთის იმპერია ხვდებოდა, რომ აფხაზეთის გაკონტროლებით ის გააკონტოლებდა ტერიტორიებს ჩრდილოეთში, ჩერქეზთა მიწებს და სამხრეთით - თურქეთამდე“ (Куакуаскир 2010, 131).*

კვევკესკირის განმარტებით, XIX საუკუნის დასაწყისისთვის აფხაზეთის ეთნიკური და პოლიტიკური საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. აფხაზეთის გაყოფილი იყო ორ ნაწილად: პოლიტიკური საზღვარი გადიოდა მდინარეებს ბზიფსა და ენგურს შორის, ხოლო ეთნიკური მოიცავდა ჯიქეთს (საძენს), ასევე მთიელთა ხალხმრავალ საზოგადოებებს.

*„სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეთნიკური საზღვრები მნიშვნელოვნად ფართო იყო პოლიტიკურზე“ (Куакуаскиრ 2010, 135).*

ის, რომ XIX საუკუნის შუა ხანებამდე აფხაზეთში აბსოლუტურ უმრავლესობას აფხაზები წარმოადგენდნენ, ამ თავის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნარატივია. მათი განმარტებით, მანამ სანამ ხელოვნურად არ მოხდა ჩარევა, აფხაზეთისთვის ეთნიკური სიჭრელე უცხო იყო. მათი განმარტებით, XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის აფხაზეთის მთელი ტერიტორია მდინარეებს ხოსტასა და ენგურს შორის, მთიელთა საზოგადოებების

ჩათვლით, თითქმის მთლიანად დასახლებული იყო აფხაზური ეთნიკური ჯგუფებით. ამას გარდა, აფხაზური ეთნიკური ელემენტი წარმოდგენილი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში მათ უახლოეს მონათესავე ხალხში - ყუბანის აბაზებში (Куакуаскир 2010, 136).

XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან აფხაზეთში შიდა კონსოლიდაციისთვის ბრძოლა იწყება, რომელსაც მთავარი ქელემ-ბეი ჩაჩბა (შერვაშიძე) უდგება სათავეში. იგი ამ ეპოქის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა, რომელსაც პრორუსული ორიენტაცია აქვს და იწყებს რუსეთთან დაახლოების გზების ძიებას. მასვე მიაწერენ ურჩ აფხაზ ფეოდალთა დამორჩილებას, შავ ზღვაში ანგარიშგასაწევი არმიისა და ფლოტის შექმნას, რომელიც შავი ზღვის სანაპიროს ბათუმიდან გელენჯიკამდე აკონტროლებდა (Куакуаскир 2010, 137-139).

აფხაზეთის მთავართა წინაშე რუსეთსა და თურქეთს შორის სწორი არჩევანის გაკეთების დილემა იდგა. აფხაზეთის მმართველთა აზრით, მათი სახელმწიფოებრიობის მშვიდობიანი განვითარება დამოკიდებული იყო მხოლოდ ამ არჩევანის სისწორეზე.

უკვე 1810 წელს ალექსანდრე I-ის მანიფესტით, ქელემ-ბეი ჩაჩბას ვაჟი გიორგი შერვაშიძე ხდება აფხაზეთის მმართველი და ამასთან, აფხაზეთი ცხადდება რუსეთის მფარველობის ქვეშ. ამავე წლის 10 ივლისს აფხაზეთი შედის რუსეთის იმპერიაში. 1810 წელსვე ხდება პირველი გადასახლება, როდესაც 5 ათასი აფხაზე თურქეთში ჩასახლდა.

ყველაზე ტრაგიკული შედეგი მოჰყვა 1866 წლის აჯანყებას, რის შემდეგაც აფხაზეთის მოსახლეობის თურქეთში ძალადობრივი გადასახლება - მუჰაჯირობა - მოხდა. სახელმძღვანელოების მიხედვით, თითქმის 50 ათასი აფხაზი გახდა მუჰაჯირი.

*„ცარიზმს აფხაზეთი სჭირდებოდა დამუმორჩილებელ აფხაზთა გარეშე“*

(Куакуаскир 2010, 153).

მუჰაჯირობა ცარისტული რეპრესიული კოლონიალური პოლიტიკის გამომხატველ ძალადობადაა აღიარებული (Бгажба&Лакоба, 2015, 269). რუსეთის ბრძოლას მთიელთა წინააღმდეგ 10 ათასობით მთიელის მიერ მშობლიური მიწის დატოვება და ოსმალეთის იმპერიაში გადასახლება მოჰყვა. ამასთან, საძენები და უბიხებიც რუსებმა ფაქტობრივად

აიძულეს, რომ დაეტოვებინათ აფხაზეთი. რუსეთი დანახულია, როგორც კოლონიზატორი. უკვე 1864 წლისთვის აფხაზეთს სახელი გადაერქვა და რუსეთის იმპერიის სოხუმის სამხედრო დანაყოფად გამოაცხადა (Куакуаскир 2010, 155).

ამ ქვეთავს წითელ ხაზად გასდევს მოსაზრება, რომ 1877 წლის ტრაგიკულ მოვლენებამდე აფხაზეთი თითქმის მხოლოდ ძირძველი აფხაზური წარმოშობის მოსახლეობით იყო დასახლებული.

*ამ სიტუაციას აღწერს ქართველი საზოგადო მოღვაწე ა. ჯუღელი გაზეთში „დროება“(1883): „უკანასკნელი ომის შემდეგ გაიცა განკარგულება, რომ მდინარეებს კოდორსა და ფსირცხას შორის მდებარე ტერიტორიაზე არ დასახლებულიყვნენ აფხაზები. ჩასახლება ნებადართული იყო ყველასთვის, მათ გარდა“ (Бгажба&Лакоба, 2015, 270).*

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება ცვლილებები ეთნიკურ შემადგენლობაში. „გასუფთავებულ“ მიწებზე ასახლებდნენ გლეხებს რუსეთის ღრმა გუბერნიებიდან, რომლებსაც სანაპირო ზოლის გასწვრივ უწყვეტ ხაზად ასახლებდნენ, რათა ხელი შეეშალათ დარჩენილ აფხაზებს და თურქეთში გადასახლებულებს შორის კავშირის დამყარებაში (Куакуаскиრ 2010, 171).

სახელმძღვანელოების მიხედვით, XIX საუკუნის ბოლოსთვის ჩასახლებულ მოსახლეთა ეთნიკურ უმრავლესობას მეგრელები და სვანები წარმოადგენდნენ, ხოლო უმნიშვნელო იყო ქართველთა წილი. სვანები დასახლდნენ კოდორის ხეობის ზედა ნაწილში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება სომხების ჩასახლება და უკვე საუკუნის ბოლოსთვის, ისინი უკვე ერთ-ერთ უმსხვილეს ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ. XIX საუკუნის ბოლოსთვის სახლდენიან ბერძნებიც. შედეგად, XIX საუკუნის ბოლოსთვის აფხაზეთის მოსახლეობის ნახევარს ჩასახლებული სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები წარმოადგენდნენ (Куакуаскиრ 2010, 172).

ყველაზე მძიმე ბრალდებები ქართველთა მიმართ ისმის. მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩასახლების პროცესში ჩართული მეგრელები, სომხები, ბერძნები, ბულგარელები, ესტონელები, გერმანელები და სხვა ხალხთა წარმომადგენლები აღმოჩნდნენ, ყველაზე მეტად ქართველთა (მეგრელები, სვანები) დასახლება იწვევს გაღიზიანებას. სახელმძღვანელოს მიხედვით, აფხაზი თავადების განადგურებასთან ერთად ქართველები *მასობრივად შეიჭრნენ აფხაზეთში და თვითნებურად მიიტაცეს მიწები* (Куакуаскир 2010, 172).

აფხაზი ისტორიკოსები ქართველებს 1817-1864 წლების კავკასიის ხალხების წინააღმდეგ (მათ შორის აფხაზების) რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებული ომის მხარდაჭერაში სდებენ ბრალს და აცხადებენ, რომ სწორედ ამ მხარდაჭერის გამო აღმოჩნდნენ ქართველები პრივილეგირებულ მდგომარეობაში (Бгажба&Лакоба, 2015, 271).

მაშინ როცა ქართველები რუსული მმართველობის დამყარებისა და რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის მთავარი პოლიტიკური შედეგის - ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაუქმების წინააღმდეგ იბრძოდნენ (ასათიანი, ლორთქიფანიძე & ლომაშვილი, 2012, 310), აფხაზების მიერ ქართველები რუსების მოკავშირეობაშიც კი არიან დადანაშაულებულები:

*„თბილისის ინტელიგენციის წარმომადგენლობმა, რომლებმაც განათლება რუსეთის უნივერსიტეტებში მიიღეს, რუსი მმართველები დაარწმუნეს აფხაზეთში მხოლოდ მეგრული კოლონიზაციის მომგებიანობასა და წარმატებაში“* (Бгажба&Лакоба, 2015, 271).

XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისში ქართულ პერიოდულ გამოცემებში ჩნდება სტატიები, რომლებშიც ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები თავის ხალხს მოუწოდებენ აითვისონ მუჰაჯირობის შედეგად დაცარიელებული აფხაზური მიწები. ამ პუბლიკაციებში ღიად საუბრობდნენ, რომ მხოლოდ ქართველ-მეგრელებს აქვთ აფხაზეთის ტერიტორიის კოლონიზების უფლება. მაგალითებად მოყვანილია იაკობ გოგობაშვილის მოსაზრება, რომ *„უპირველესად*



*მეგრელები უნდა გახდნენ გადასახლებულ აფხაზთა შემცვლელნი*“ (Бгажба&Лакоба, 2015, 271).

იქვე აღნიშნული, რომ:

*„ამ პერიოდში საქართველოში იწყება იმპერიული ცნონიერების ფორმირება, ერს კი მთააგონებენ კავკასიაში მისი ექსკლუზიური და განსაკუთრებული როლის შესახებ“* (Бгажба&Лакоба, 2015, 271).

პოლკოვნიკ პ.არაკინის ცნობით, თითქმის მთლიანად გაუკაცრიელდა ცენტრალური აფხაზეთი მდინარე ფსირცხიდან მდინარე კოდორამდე.

*„ხელშეუხებელი დარჩა მხოლოდ სამურზაყანოს ტერიტორია, რადგან მას მტკიცედ იცავდნენ რუსი სამხედროები“* (Бгажба&Лакоба, 2015, 269).

ამგვარად, ავტორთა დასკვნით, XIX საუკუნის დასასრულს აფხაზეთში ძირძველი მოსახლეობის - აფხაზების, რიცხვობრივ შემცირების მიუხედავად, მთლიანი მოსახლეობის რაოდენობა იზრდებოდა ჩამოსახლებულთა ხარჯზე (Куакуаскир 2010, 173).

კვევკესკირის წიგნში მოცემულია 1897 და 1926 წლის აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის აღწერის შედეგები. აღწერის მიხედვით, 1897 წელს აფხაზები მოსახლეობის 26,4%-ს, ქართველები - 31,8%-ს, სომხები 14,2%-ს, ბერძნები - 12,8%-ს შეადგენენ, ხოლო რუსები მეხუთე ადგილზე არიან 9,6%-ით. 1926 წლის აღწერის შედეგების მიხედვით კი, აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობას აფხაზები უკვე 55,3%-ით შეადგენენ, შემდეგ ქართველები 22,4%-ით, სომხები - 6,2%, ბერძნები - 5,1% და რუსები 4,8% (Куакуаскир 2010, 174).

სტატისტიკური მონაცემებია მოყვანილი ბლაჟბასა და ლაკობას სახელმძღვანელოშიც. კერძოდ, 1886 წლის მონაცემებით აფხაზები მოსახლეობის 85%-ს შეადგენდნენ, მეგრელები, ლაზები, ქართველები ერთად - 6%-ს (Бгажба&Лакоба, 2015, 272).

როგორც ვხედავთ, რუსეთის იმპერიის ქმედებებზე პასუხისმგებლობა ქართველებს ეკისრებათ. მათ მოახდინეს აფხაზეთის კოლონიზაცია და ხელოვნურად, თვითნებურად, მათ სასარგებლოდ შეცვალეს რეგიონში ეთნიკური შემადგენლობა. ამ მოვლენებამდე კი აფხაზეთში მხოლოდ ძირძველი აფხაზური ხალხები ცხოვრობდნენ და ქართველთა დომინირება იქ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება.

ამას გარდა, რევოლუციურ მოძრაობებზე საუბრისას, აღნიშნულია, რომ რევოლუციონერთა ძირითად მასას აგიტატორები გურიიდან და სამეგრელოდან წარმოადგენდნენ. შთაბეჭდილება კი ისეთი შეიქმნა, რომ „დანამაშავები“ აფხაზები იყვნენ (Бгажба&Лакоба, 2015, 275).

ქვეთავის დასასრულს, კულტურულ ცხოვრებაზე საუბრისას აღნიშნულია, რომ 1865 წელს იქმნება აფხაზური ანბანი და გამოდის 1862 წელს აფხაზური ენის გრამტიკის სახელმძღვანელო (Бгажба&Лакоба, 2015, 289). პირველი სკოლა გაიხსნა 1851 წელს ოქუმში გაიხსნა, ხოლო 1863 წელს სოხუმში იხსნება მთიელთა დაწყებითი სკოლა, 1870 წელს ქალთა სკოლა, რომელიც 1909 წელს გინმაზიად გადაკეთდა. სიძნელეებისა და ტრაგიკული მოვლენების მიუხედავად, აფხაზეთში ხდება კულტურული ცხოვრების აღორძინება, იხსნება წიგნის მაღაზიები, ბიბლიოთეკა, ისახება და ვითარდება თეატრალური ცხოვრება. XX საუკუნის დასაწყისი აფხაზეთში ეროვნული კულტურის აღმოცენებისა და განვითარების ეპოქაა, რომელსაც დიადი რუსული კულტურის გავლენა აქვს (Куакуаскир 2010, 181).

### ➤ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდი უახლესი მოვლენების ჩათვლით

მოცემულ პერიოდი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მოვლენებით დატვირთულია ქართველი და აფხაზი ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში. თუ წინა პერიოდებში ქართველები მხოლოდ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში იყვნენ მოხსენიებულნი, ამ

შემთხვევაში თითქმის ყველა მოვლენა ქართველების გარშემო, მათი უშუალო მონაწილეობით ვითარდება.

ამ პერიოდში ცოცხლდება ყველა ის ნარატივი, რომელიც წინა პერიოდებში ნელ-ნელა მწიფდებოდა და მთავარ მიზანს - აფხაზეთის დამოუკიდებელობას, ისტორიულ უფლებას ანიჭებს.

ისტორიის ამ მონაკვეთში ვხვდებით ყველაზე დიდ წინააღმდეგობებს ისტორიის აფხაზურ და ქართულ ვერსიებს შორის.

1921 წელს ამბოხებულთა რაზმი ნ. აკირთავას ხელმძღვანელობითა და წითელი არმიის მხარდაჭერით საქართველოს მენშევიკური მთავრობის რეგულარულ შეირადებულ ძალებს მდინარე ფსოუსთან ებრძოდა. მათ წინ მიუძღვებოდათ „კიარაზოვები“, რომლებიც აქტიურად იღებდნენ მონაწილეობა ლიხნის, გუდაუთისა და ახალი ათონის გათავისუფლებაში. სოხუმი, ოჩამჩირისა და გალის გათავისუფლების შემდეგ 10 მარტს აფხაზეთის „რევკომ“-მა ტელეგრამით მიმართა ლენინს აფხაზეთის მთლიან ტერიტორიაზე საბჭოთა მმართველობის დამყარების ცნობით (Бгажба&Лакоба, 2015, 354).

საბჭოთა კავშირის მმართველობის დამყარებაზე საუბარი შემდეგი ფრაზით გრძელდება:

*„საბჭოთა ხელისუფლებას გააჩნდა თავისი მახასიათებლები, თუმცა იგი არ გამოირჩეოდა მასობრივი ტერორით. იგი უფრო მსუბუქი გახლდათ, ვიდრე ახლო წარსულში საქართველოს რესპუბლიკის მპყრობელობა“ (Бгажба&Лакоба, 2015, 354)*

სახელმძღვანელოს მიხედვით, ამ პერიოდში აფხაზეთი წარმოადგენდა მშვიდობიანი, მწყობრი ცხოვრების პატარა კუნძულს. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ აფხაზეთი მოხვდა საბჭოთა რუსეთის ე.წ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების ფარგლებში.

აფხაზეთის გავლენიან დიასპორას მიაწერენ ბათუმის საბჭოთა საქართველოს გადაცემის ხარჯზე აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ წამოწევის

იდეას. 1921 წლის 21 მაისს საქართველოს „რევკომ“-მა ხელი მოაწერა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ“ დეკლარაციას. საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, მოსკოვში იქნა მიღებული უშუალოდ ლენინის მიერ (Бгажба&Лакоба, 2015, 354-355).

თუმცა, ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის შემდეგ, სტალინის სურვილით, იწყება კულუარული კამპანია აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციისთვის. 1921 წლის 5 ივლისის ცეკას კავბიუროს პლენუმმა (სტალინის მონაწილეობით) აფხაზეთის ავტონომიის სტატუსით საქართველოს შემადგენლობაში შესავლის გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც ძალაში 1931 წლის 19 თებერვალს. ეს მომენტი საყურადღებოა აფხაზეთისათვის, რადგან მათი აზრით, შეიქმნა უნიკალური სიტუაცია, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში (1921 წლის მარტიდან 1922 წლის 17 თებერვლამდე) ფორმალურად დამოუკიდებელი იყო, როგორც საბჭოთა რუსეთიდან, ისე საბჭოთა საქართველოდან (Бгажба&Лакоба, 2015, 355).

სტალინ-ორჯონიკიძის ზეწოლის შედეგად მიიჩნევენ, 1922 წლის თებერვალში აფხაზეთის საბჭოების (Советов Абхазии) პირველი შეხვედრაზე საქართველოსა და აფხაზეთს შორის „განსაკუთრებული საკავშირო ხელშეკრულების“ რატიფიცირებას.

აფხაზეთისთვის განსაკუთრებით საამაყოა, 1925 წლის აპრილში მთლიანი აფხაზეთის საბჭოების მესამე შეკრებაზე მიღებული სსრ აფხაზეთის კონსტიტუცია. სახელმძღვანელოში ხაზგასმულია, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ავტონომიას საკუთარი კონსტიტუცია გააჩნდა. ამასთან, იქვეა აღნიშნული, რომ იმ პერიოდში სსრ აფხაზეთი წარმოადგენდა ავტონომიურ რესპუბლიკას, არამედ ის იყო მოკავშირე რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოს სტატუსით. ამის დასტურად მოყვანილია 1925 წლის კონსტიტუციის მეხუთე მუხლი:

*„სსრ აფხაზეთი არის სუვერენული სახელმწიფო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფოებრივ მმართველობას სხვა მმართველობისგან დამოუკიდებლად. სსრ აფხაზეთი იტოვებს უფლებას თავისუფლად გამოვიდეს როგორც*

*„ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკიდან“, ისე „საბჭოთა სოციალისტური კავშირიდან“ (Бгажნა&Лაкоბა, 2015, 357).*

ტექსტში აშკარად არის გამოხატული ანტიპატია სტალინის მიმართ. სტალინის მოხერხებულ პოლიტიკასა და ზეწოლის შედეგად მიიჩნევენ *აფხაზეთის პოზიციების დასუსტებას* (Бгажნა&Лაкоბა, 2015, 357). თუმცა მიუხედავად ამისა, 1925 წლის აპრილში მიღებული კონსტიტუცია მნიშვნელოვან სამართლებრივ აქტად და მიღწევად ითვლება.

1931 წლის თებერვალში დურიფში, ლიხნში, აჭანდარსა და სხვა სოფლებში იმართება აფხაზი ხალხის საერთო ეროვნული შეკრება (ცნობილია „დურიფშის შეკრების“ სახელით), რომელიც აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში შესვლას აპროტესტებდა. საბოლოოდ, სიტუაცია იმდენად დაიძაბა, სისხლისღვრა გარდაუვალი ჩანდა, თუმცა, ლაკობას წყალობით დამაბულობა განიმუხტა. მან შეძლო მოლაპარაკებების გზით სიტუაციის დარეგულირება (Бгажნა&Лაкоბა, 2015, 359).

დიდი სამამულო ომის პერიოდში აფხაზები აწყდებიან კიდევ ერთ უსამართლობას ქართველთა მხრიდან, როდესაც აფხაზურ სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების შეტანა გადაწყვიტეს. ქართველთა მოსაზრებით, აფხაზეთის სკოლებში არსებული განათლების სისტემა აფერხებდა აფხაზეთის ეროვნული კულტურის განვითარებას:

*„ზოგიერთები თვლიდნენ, რომ აფხაზეთის სკოლებში მშობლიურ, მეხუთე კლასიდან კი რუსულ ენაზე სწავლება თითქოსდა ხელს უშლდა მოსწავლეებს განათლების მიღებაში და საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ჩაბარებაში. ამ საბაბით პედაგოგთა ერთმა ჯგუფმა, საუბარი დაეწყო დაწყებით კლასებში ქართულ ენაზე სწავლებაზე გადასვლის აუცილებლობაზე“ (Бгажნა&Лაкоბა, 2015, 366).*

1945 წლის 13 მარტს აფხაზეთის ობკომის ბიურომ მიიღო განკარგულება - „ზომები აფხაზეთის ასსრ-ს სკოლებში აღზრდა-განათლების გაიუმჯობესების შესახებ“, რომლის

მიხედვითაც, 1945-46 სასწავლო წლიდან აფხაზეთის სკოლებში სწავლება გადდიოდა ქართულ ენაზე.

ლაკობას განმარტებით, ამ გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი რეგიონში ქართული მოსახლეობის შემოდინებას და მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მათი პროპორციის ზრდას. დაწყებითი კლასების 1726 მასწავლებლიდან, რომელმაც ქართული იცოდნენ, მხოლოდ 397 ჰქონდა საშუალო პედაგოგიური განათლება.

*„მხოლოდ 1939 წლიდან 1959 წლამდე მათი [ქართველების] რიცხვი გაიზარდა 66 257-ით, მაშინ როცა აფხაზების - 4 996-ით“ (Бгажба&Лакоба, 2015, 367).*

აფხაზი ხალხის ეროვნული თვითშეგნებისთვის განსაკუთრებულად მძიმე ფაქტს წარმოადგენდა 1931 წელს მისი სტატუსის საქართველოში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკამდე დაყვანა. აფხაზური ნარატივის მიხედვით, ათწლეულების განმავლობაში აფხაზ ხალხს ჩამორთმეული ჰქონდა შესაძლებლობა გავლენა მოეხდინა საკუთარი ქვეყნის პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, დემოგრაფიაზე, კულტურულ და სხვა სოციალურ პროცესებზე. ეს ყოველივე მათ მიერ აღქმულია, როგორც ეთნოგამანადგურებელი ხასიათის პროცესები (Куакуаскир 2010, 201-216).

აფხაზი ხალხის მიერ ზემოთ აღნიშნული საფრთხის გაანალიზება ჯერ კიდევ 1931 წელს მოხდა, როცა დურიფში საერთოეროვნული აფხაზური შეკრება გაიმართა, რომელმაც საბჭოთა მმართველობასა და ხელისუფლებას უნდობლობა გამოუცხადა. ეს პროტესტი აფხაზური ეროვნული მოძრაობის 1957, 1965, 1967, 1978 და 1989 წლების მასობრივი გამოსვლებით გამოიხატა (Куакуаскиრ 2010, 231-238).

აფხაზებისთვის საყურადღებო იყო სსრ საქართველოს 1978 წლის 14 აპრილს მიღებული კონსტიტუცია, სადაც აფხაზი ხალხის მოთხოვნის მიუხედავად კონსტიტუციაში მაინც არ გაკეთდა ჩანაწერი აფხაზეთის ასსრ-ს საქართველოს სსრ-დან თავისუფლად გამოსვლის შესახებ. საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის ობკომის შენობაში უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე, რომელიც შეირაღებული ძალებით

იყო გარშემორტყმული მოხდა მისი ფაქტობრივად ძალდატანებით მიღება (Бражна&Лакоба, 2015, 387).

აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის მიერ ფორმულირებული იქნა მოთხოვნა აფხაზეთის ერთხელ დაკარგული დამოუკიდებელი სტატუსის აღდგენის შესახებ. 1989 წლის მოვლენები უკვე შევიდა ისტორიის ანალებში. „ლიხნის მიმართვაში“ საუბარი აფხაზეთის სსრ-ს აღდგენაზე იყო, რომელიც 1921 წლიდან 1931 წლამდე არსებობდა. ეს იყო უპრეცედენტოდ ფართომასშტაბიანი საერთოეროვნული/საერთოსახალხო ნების გამოხატვის შემთხვევა, რომელსაც აფხაზებთან ერთად ხელს აწერდნენ აფხაზეთში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც.

1989 წლის ივლისში განვითარებული სისხლიანი დაპირისპირების შემდეგ აკადემიკოსმა ა.სახაროვმა საქართველოს „მცირე იმპერია“ უწოდა. ის აფხაზთა მხარეს იყო და თვლიდა, რომ „განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ მცირე ნაციების პრობლემებს, დიდმა ნაციებმა მცირე ნაციებისთვის ზიანი მიყენების ხარჯზე არ უნდა დაიკმაყოფილონ თავისუფლება და მოთხოვნები (Бражна&Лакоба, 2015, 367). ლიხნის მიმართვას 1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიაზე „ასსრ აფხაზეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“ დეკლარაციისა და „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის კანონიერი უფლებების შესახებ“ რეზოლუცია მოჰყვა.

სახელმძღვანელოებში „ისტორიკოსთა ბრძოლა“ იდეოლოგიური დაპირისპირებასთან არის გათანაბრებული. იდეოლოგიური ბრძოლა, რომელიც ფაქტობრივამდე ადრე დაიწყო, ძირითადად ისტორიულ პოლიგონზე მიმდინარეობდა.

„ჯერ კიდევ 1949-51 წლებში ლიტერატურათმცოდნე პ.ინგოროყვამ წამოაყენა მცდარი და ამასთან, პროვოკაციული თეზისი, რომ თითქოს აბაზგები - ანტიკური და შუასაუკუნეების აფხაზები, თანამედროვე აფხაზების წინაპრებს კი არა, არამედ ქართველების წინაპრებს წარმოადგენენ. ახლანდელი აფხაზები, წერდა ინგოროყვა, არიან აფსუების ტომი (აფხაზების თვითსახელისგან „აფსუა“), რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე დასახლდნენ ორასი-სამასი

წლის წინ. ამ ხერხით მზადდებოდა იდეოლოგიური „ბაზისი“ აფხაზეთის შესაძლო გასახლებისათვის. აფხაზები აღქმულ იყვნენ, როგორც „სტუმრები“ და ქართულ მიწაზე დროებითი მაცხოვრებლები“ (Бгажба&Лакоба, 2015, 390).

იმავე აზრს ავითარებს კვეკვერკირიც, როდესაც შედარებით უფრო გვინდელ მოვლენებთან დაკავშირებით წერს:

*„მრავალრიცხოვანი ქართველი ლიდერები მიტინგებზე თბილისში, სოხუმში, გულრიფში, გაგრაში, ინფორმაციის გავრცელების მასობრივი საშუალებებით, ღიად აცხადებდნენ და შთააგონებდნენ, რომ „აფხაზეთი - ქართული მიწაა, ხოლო აფხაზები - ქართველები“ - პავლე ინგოროყვას აბსურდული თეორიის შესაბამისად, „აფხაზეთისთვის ისტორიული წარსულის წართმევით“ (Куакуаскир 2010, 241).*

სახელმძღვანელოთა ავტორების მოსაზრებით, 1988 წლის ბოლოს, ინგოროყვას იდეების გაცოცხლება მოხდა, რომელიც თავისი სიმარტივის გამო ფართოდ და სწრაფად გავრცელდა საქართველოს მოსახლეობაში, ქართულ ინტელიგენციაში. მათივე თქმით, იმ დროინდელი საქართველოს ლიდერები ზ.გამსახურდია, მ.კოსტავა, ა.ბაქრაძე და სხვები, ინგოროყვას ყალბ იდეებზე დაყრდნობით, გამუდმებით იმეორებდნენ, რომ აფხაზეთი ქართული მიწაა, ხოლო აფხაზები - ქართველები არიან.

ავტორთა თქმით, საქართველოსა და აფხაზეთის პოლიტიკური მდგომარეობის დარეგულირებას ქართული ისტორიოგრაფიის პოზიცია/მდგომარეობა უშლის ხელს. მათი განმარტებით, 1989 წლის შეტაკება და 1992-93 წლების ომის პრელუდია ისტორიკოსების „ბრძოლის“ განსაკუთრებულად დამაბული მაგალითია (Бгажба&Лакоба, 2015, 391).

90-იანი წლების კონქფლიქტს აფხაზურ სახელმძღვანელოებში სამამულო ომი ეწოდება და იგი აფხაზეთისთვის დამოუკიდებლობის მოპოვებასთან, ხოლო ქართველებისთვის ტერიტორიული მთლიანობის რღვევასთან არის ასოცირებული. აფხაზეთისთვის ისტორიის ეს პერიოდი აღმასვლის ეტაპია, ხოლო ქართველებისთვის - პირიქით,



დადმასვლის. ამ ქვეთავის ორიგინალი სახელწოდება სახელმძღვანელოში ასე ჟღერს: „პოსტსაბჭოთა პერიოდი. აფხაზეთი დემოკრატიული და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გზაზე“ (Куакуасკირ 2010, 240).

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, საქართველოში განვითარებული მოვლენები, სამოქალაქო ომი, გადატრიალებები, „მხედრონი“ და ა.შ - აღქმულია, როგორც *მეზობელ საქართველოში (в соседней Грузии) მიმდინარე პროცესები*, რომელსაც აფხაზეთი შემოფოთებით ადვანდნენ თვალს. გამოთქმულია, რომ აფხაზეთში, ადგილობრივ მეგრელებს შორის ბევრი გამსახურდიას მომხრე იყო და თბილისს შეეძლო ეს გარემოება გამოეყენებინა აფხაზეთში შეჭრის საბაზად. მით უფრო, რომ „ზვიადისტები“ თავიდანვე პროვოკაციებზე მიდიოდნენ, აწყობდნენ გაუთავებელ მიტინგებს, აჯანყებებსა და სხვადასხვა დაუმორჩილებელ აქციებს (Куакуасკირ 2010, 240).

სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, აფხაზეთი აცნობიერებდნენ, რომ ქართველი დეპუტატები, ისევე როგორც მთელი ქართული საზოგადოება, აფხაზეთის სუვერენიტეტის კატეგორიული მოწინააღმდეგენი იყვნენ და მის მომავალს ხედავდნენ მხოლოდ უნიტარული ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში.

საქართველოს ხელისუფლების მიერ 1992 წლის 21 თებერვალს საბჭოთა პერიოდის ყველა საკანონმდებლო აქტი გაუქმება (მათ შორის 1921 წლის 25 თებერვლისა და 1978 წლის კონსტიტუციების ჩათვლით) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა, აფხაზეთისათვის აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ფაქტობრივ გაუქმებას ნიშნავდა (Куакуасკირ 2010, 241).

სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, აფხაზეთმა სცადეს დაძაბულობის მშვიდობიანი, მოლაპარაკებების გზით განმუხტვა, თუმცა ქართველებმა თავად თქვეს უარი ამ გზაზე.

*„იმისათვის, რომ დარეგულირებულიყო საქართველოსა და აფხაზეთს შორის არსებული სამართლებრივი პრობლემა, 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის*

*უმადლოსმა საბჭომ აღადგინა აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობები ეფუძნებოდა განსაკუთრებულ საკავშირო ხელშეკრულებას აფხაზეთის ხელისუფლებამ თბილისს შესთავაზა მოლაპარაკებების პროექტი, რომლის მიხედვითაც საქართველო ხდებოდა ფედერაციული სახელმწიფო, აფხაზეთი კი - მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი“ (Куакуаскир 2010, 241).*

საპასუხოდ, 1992 წლის მაისში საქართველოს ფრაქციამ ბოიკოტი გამოუცხადა პარლამენტის სხდომას, ამიტომაც ხმის მიცემა მიმდინარეობდა მის გარეშე. ამგვარად, ქართველმა დეპუტატებმა ახალი ხელისუფლების ფორმირების პროცესი დაბლოკეს. თუმცა, გადაწყვეტილება 1925 წლის აფხაზეთის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ მაინც იქნა მიღებული ხმათა უმრავლესობით. თბილისში ეს გადაწყვეტილება უკანონოდ და ძალის არ მქონედ გამოაცხადეს.

აფხაზები საუბრობენ იმ ხელოვნურ მიზეზებზე, რომლებიც აფხაზეთში შეჭრის გასამართლებლად და საბაზად იყო გამოყენებული. მათი განმარტებით, ქართული აგრესიის წინა დღეს სამეგრელოში ტყვეებად აიყვანეს საქართველოს ხელისუფლების წევრები - ვიცე-პრემიერი ა.კავსაძე და შს მინისტრი რ.გვენცაძე რასთან დაკავშირებითაც ქართული მხარე იტყობინებოდა, რომ ეს ყოველივე გამსახურდიას მომხრეების მიერ იყო ჩადენილი და ტყვეები აფხაზეთში, გალის რაონში გადაიყვანეს.

*თუმცა, აგრესიის დაწყებისთანავე, 14 აგვისტოს, გვენცაძე უკვე თბილისში ტელევიზიით გადმოსცემდა თავის „თავგადასავლებს“ (Куакуаскиრ 2010, 246).*

შეჭრის მეორე მიზეზად კი ქართველებმა საქართველოს რკინიზის მარცვისგან დაცვა დაასახელეს. თუმცა, აფხაზთა განმარტებით, ყველა მარცვა (50-ზე მეტი) ქართულ ტერიტორიაზე ხდებოდა. აფხაზეთის ტერიტორიაზე დაფიქსირდა მხოლოდ ორი შემთხვევა, ისიც საქართველო-აფხაზეთის საზღვართან ახლოს და 1992 წლის აგვისტომდე დიდი ხნით ადრე (Куакуаскиრ 2010, 247).

შესაბამისად, აფხაზური ნარატივის მიხედვით, ყველა ეს მიზეზი წინასწარ იყო ჩაფიქრებული, რათა აფხაზეთის ოუპაცია მომხდარიყო. აფხაზეთში სამხედროების შეყვანა ჯერ კიდევ 11 აგვისტოს იყო გადაწყვეტილი სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე.

ომის ქრონოლოგიის აღწერისაგან თავს შევიკავებ, გამოვყოფ მხოლოდ ისეთ მომენტებს, რომლებიც ქართველების მტრის ხატის შექმნას კიდევ უფრო ამძაფრებს ან აფხაზების, როგორც დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხის ნარატივს ქმნის.

აუცილებელია, მაგალითისთვის მოვიყვანო, თუ როგორ არის აღწერილი ქართველთა სამხედრო მოქმედებები აფხაზეთის ტერიტორიაზე.

*„დაიწყო საცხოვრებელი კორპუსების დაცხრილვა, მასობრივი დარბევები, ძარცვა, ტყვეებად გატაცება. საოკუპაციო ჯარმა გადაკეტეს ტყვარჩელი-სოხუმის საავტომობილო გზა, ადგილობრივი მოსახლეობა რესპუბლიკის დედაქალაქსა და სხვა რეგიონებს მოწყვიტეს. სოხუმის პლიაჟზე ფერტმფრენებიდან დაცხრილეს დამსვენებლები“ (Куакуаскир 2010, 248).*

აღსანიშნავია, რომ მსგავს კონტექსტს ვერ შეხვდებით ქართულ სახელმძღვანელოში. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი ისაა, რომ აფხაზები ცდილობენ ქართველები მტრებად წარმოაჩინონ და მათდამი სულ მცირე - აგრესია დანერგონ. ქართველებისთვის აფხაზები მტრები არ არიან.

მნიშვნელოვანია 14 აგვისტოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბას მიმართვა აფხაზი ხალხისადმი:

*„აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო საბჭოს შეიარაღებული ფორმირებების შემოსვლისა და აფხაზეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და მოსახლეობის სიცოცხლის რელური საფრთხიდან გამომდინარე, აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის განკარგულებით: ცხადდება სრულწლოვანი მოსახლეობის, 18-დან 40 წლამდე, მობილიზაცია“ (Куакуаскиრ 2010, 247).*

არძინბამ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მებრძოლთა აფხაზეთში შეჭრა შეაფასა, როგორც აფხაზეთის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის, აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის გაუქმების მცდელობად.

ორივე სახელმძღვანელოში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს „მეგობარი“ ხალხების იდენტიფიცირებას. თუ *მტერი* საქართველოა, აუცილებელია *მეგობრებიც* არსებობდნენ. ამასთან, კონფლიქტში მეგობრების არსებობა, ნიშნავს, რომ შენს ნარატივს სხვებიც იზიარებენ და ესეც ერთგვარი, არაფორმალური ლეგიტიმაციაა შენი ქმედებების.

„აფხაზეთის უბედურებაზე რეაგირება პირველებმა ჩრდოლოკავკასიელმა ძმებმა მოახდინეს. აფხაზეთში მოხალისეებმა მთელი პოსტსაბჭოთა სივრციდან დაიწყეს ჩასვლა. „არ მივატოვებთ აფხაზეთს გასაჭირში!“ - ეწერა ტრანსპარანტებზე მრავალრიცხოვან მიტინგებზე ყაბარდო-ბალყარეთში, ადიღეში, ყარაჩაი-ჩერქეზეთში, ჩეჩნეთში, დაღესტანში, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთში“ (Куакуаскир 2010, 249).

სახელმძღვანელოში განსაკუთრებულადაა ხაზგასმული, რომ ქართული აგრესიის მოგერიებაში შეუფასებლად დიდი როლი ჩერქეზთა საერთაშორისო ასოციაციამ (MCA) იური კალმიკოვის ხელმძღვანელობით, ყაბარდოელ ხალხთა კონგრესი და საზოგადოებრივი ორგანიზაცია „Адыгэ-Хасэ“, ზაურ ნალოევის ხელმძღვანელობით. აფხაზეთი მოხალისეების ჩეჩნეთიდან, ოსეთიდან, ადიღეიდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან, ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან, დაღესტანიდან, დნესტრისპირეთიდან ირებდა. უნდ ააღინიშნოს, რომ არც ერთ სახელმძღვანელოში აღნიშნული არ არის რუსეთის როლი სამხედრო დაპირისპირებისას.

ქართულ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ:

„ცუდად ორგანიზებულ ქართულ ჯარს, აფხაზი მებრძოლების გარდა, დაუპირისპირდნენ კაზაკები, მოხალისეები ჩრდილოეთ კავკასიიდან“ და რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილები (უპირველესად ავიაცია). მათ

*ხელში აღმოჩნდა რუსეთიდან შემოსული დიდძალი შეიარაღებაც*“ (ასათიანი, ლორთქიფანიძე & ლომაშვილი, 2012, 419)

აფხაზთა განმარტებით, *მოხალისეთა დახმარებას უზარმაზარი არა მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური, არამედ მორალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ქართული „ბლიცკრიგი“ ჩავარდა.*

რუსეთი აფხაზურ სახელმძღვანელოებში კონფლიქტის ასპარეზზე ჩნდება მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევის მცდელობის ეტაპზე. რუსეთის ინიციატივით ხელი მოეწერა სოჭის სამშრხივ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა ქართული შეიარაღებული ძალების აფხაზეთიდან გასვლას, რომელიც ქართულმა მხარემ უგულვებელიყო (Бгажба&Лакоба, 2015, 398).

საბოლოოდ, *1993 წლის 30 სექტემბერს აფხაზეთის არმია მივიდა მდინარე ენგურამდე - საქართველოსთან სახლემწიფოებრივ საზღვრამდე, სადაც ხიდთან აღმართა აფხაზური დროშა* (Бгажба&Лакоба, 2015, 400).

სანამ კონფლიქტის შემდგომი პერიოდის განხილვაზე გადავიდოდეთ, ჩემი აზრით, აუცილებელია, რომ შევაჯამოთ უკვე განხილული პერიოდი. როგორ უკვე აღვნიშნე მოცემული პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთული, ემოციური და განსხვავებულია აფხაზი და ქართველი ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში. აფხაზებისთვის ის საუკუნეების მანძილზე ნანატრი დამოუკიდებლობის დაბრუნებაა, ხოლო ქართველებისთვის ქვეყნის მთლიანობის რღვევასა და ტერიტორიების დაკარგვასთანაა ასოცირებული. აფხაზებისთვის კონფლიქტის მსხვერპლი მხოლოდ აფხაზი ხალხია, არაფერია ნათქვამი ასიათასობით დევნილ მოსახლეობაზე, მშვიდობიანი მოსახლეობის მატერიალურ და ადამიანურ დანაკარგზე. აფხაზები ქართველებს ადანაშაულებენ ეთნიკური ნიშნით დევნასა და კულტურულ გენოციდში. კონფლიქტის ისტორიის გადმოცემისას აფხაზები ზედმიწევნით გადმოსცემენ დეტალებს. აფხაზურ სახელმძღვანელოში რამდენიმე ათეული გვერდი ეძღვნება კონფლიქტის აღწერას, მაშინ როცა ქართულ სახელმძღვანელოში ერთ გვერდშია მოყოლილი. აფხაზები პირდაპირ მიუთითებენ, რომ ქართველები მტრები,

მოწინააღმდეგეები, ოკუპანტები არიან. აფხაზებისთვის ეს ომი მისაღებია ყველა დანაკარგის მიუხედავად, რადგან ის ერის უმთავრეს მიზანს, დამოუკიდებლობის მიღწევას ემსახურებოდა. იმავე მიზეზით, ქართველებისთვის კიდევ უფრო მძიმე და ტრაგიკულია, რადგან ყველა სხვა დანაკარგთან ერთად, ასევე აუცილებელი ატრიბუტი - ტერიტორილი მთლიანობა დაირღვა. აფხაზები რუსეთს კონფლიქტის მონაწილე მხარედ არ თვლიან და არც მის როლს აღიარებენ უშუალოდ სამხედრო მოქმედებებისას.

კონფლიქტის შემდგომი მოვლენებიდან, აფხაზებისათვის უმნიშვნელოვანესია 1994 წელს მიღებული სუვერენული სახელმწიფოს ახალი კონსტიტუცია. 1999 წლის 12 ოქტომბერს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად მიიღეს აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი. ამასთან, აღნიშნულია, რომ საქართველომ არაერთხელ დაარღვია ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, ომის შემდგომ პერიოდში სამჯერ (1998 წლის მაისში, 2001 წლის ოქტომბერში და 2006 წლის ივლისში) შემოიჭრა აფხაზეთის ტერიტორიაზე და უშედეგოდ ცდილობდა რევანშის აღებას 1993 წლის დამარცხებისთვის (Бгажба&Лакоба, 2015, 404-405).

მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართველებისთვის „კოდორის კრიზისით“ ცნობილი მოვლენები.

აფხაზებისთვის მოვლენები დანახულია, როგორც საქართველოს ახალი ხელისუფლების კიდევ ერთი ცდელი აფხაზეთის ოკუპირების. საქართველოს ხელისუფლებამ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით უარი თქვა მშიდობიან შეთანხმებაზე აფხაზეთთან დაარღვია 2006 წლის 25 ივლისს 1994 წლის მოსკოვის ხელშეკრულება და სამხედრო დანაყოფები და ტექნიკა შეიყვანა აფხაზეთში, კოდორის ხეობაში (Бгажба&Лакоба, 2015, 410).

აღსანიშნავია, რომ ბალკანეთში მიმდინარე პროცესებმა აფხაზებს გაუჩინა იმედი, გამოსულიყვნენ საერთაშორისო იზოლაციიდან. მაშნ, როცა ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი აქტიურად ამზადებდა საერთაშორისო საზოგადოებას კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის, რუსეთის პრეზიდენტი ვ.პუტინი აცხადებს, რომ

კოსოვოს პრობლემა არაფრით განსხვავდებოდა აფხაზეთის, სამხრეთი ოსეთისა და დნესტრისპირეთის სიტუაციისგან.

საინტერესოა, თუ როგორა არის დანახული 2008 წლის აგვისტოს ომი აფხაზების მიერ. იგი აბსოლუტურად იზიარებს რუსულ ნარატივს, რომელიც ქართულ მხარეს ადანაშაულებს ომის წამოწყებაში. აღნიშნულია, რომ 2008 წლის აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში საქართველო სამხედრო მოქმედებების დაწყებას აფხაზეთის წინააღმდეგ გეგმავდა. რაც საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის მედესანტეთა ბატალიონების ბრონირებული ტექნიკისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების მოულოდნელმა გამოჩენამ გადააფიქრებინა (Куакуаскир 2010, 286).

2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ ვკითხულობთ:

*„დილის 03:30 წთ-ზე განხორციელდა ცხინვალზე შტურმი ტანკების გამოყენებით. გეგმა კოდური სახელით „სუფთა მდელი“ გულისხმობდა ეთნიკურ წმენდას და სამხრეთ ოსეთის გადაქცევას „სუფთა მდელი“ (Бгажба&Лакоба, 2015, 413).*

აფხაზეთმა 2008 წელს კოდორის ხეობაზე კონტროლი დაიბრუნა და 2008 წლის 20 აგვისტოს აფხაზეთის პარლამენტი რუსეთის მთავრობას მიმართავს თხოვნით აფხაზეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიაროს. რუსეთის საპასუხო ქმედება, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება 2008 წლის 26 აგვისტოს, ისტორიული მოვლენაა აფხაზეთისათვის. მათი განმარტებით, რუსეთმა სართაშორისო სამართლის ნორმების დაცვით აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა.

აფხაზმა ერმა მიაღწია თვის უდიდეს მიზანს, დამოუკიდებლობის მოპოვებას და ახლა მის შენარჩუნებაზე, ქვეყნის განვითარებასა და მოდერნიზაციაზე ზრუნავს, რა თქმა უნდა, რუსეთის აქტიური თანამონაწილეობით.

## დასკვნა

მოცემული ნაშრომის მთავარ მიზანს სასკოლო სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, აფხაზური იდენტობის ნარატივის ფორმირების პროცესის ანალიზი წარმოადგენდა.

მოდერნისტული თეორიის ჩარჩო დაგვეხმარა აგვეხნა ერებისა და ნაციონალიზმის წარმოშობის ფენომენი. როგორც მისი თეორეტიკოსები გვიხნიან, ერებსა და ნაციონალიზმზე საუბარი საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ შეიძლება. მას შემდეგ რაც კაპიტალიზმის ერა დგება, სოციალური ურთიერთობების ინტენსიფიკაცია ხდება. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება განათლების საერთო სისტემის ჩამოყალიბებას, ე.წ. ბეჭდვითი კაპიტალიზმის ერას. ერთ-ერთი მიზეზი თუ რატომ არ შეიძლება ძველი ბერძნები ან ძველი ეგვიპტელები ნაციებად მივიჩნიოთ არის სწორედ, ის, რომ მათ არ ჰქონდათ ერთიანი საგანმანათლებლო სისტემა.

მაშინ, როცა ერების მშენებლობისა და იდენტობის ჩამოყალიბების პროცესზე სასკოლო განათლება (ე.წ. classroom setting) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, აუცილებელია, შევისწავლოთ თუ რას ასწავლიან აფხაზეთის სკოლებში და რა ნარატივების ჩამოყალიბებას ცდილობენ.

როგორც სახელმძღვანელოების გაანალიზების საფუძველზე ვნახეთ, მოცემული ისტორიის სახელმძღვანელოებს ნამდვილად შეუძიათ ჰქონდეთ პრეტენზია, რომ ისინი ზუსტად იმ ნატატივებს აყალიბებენ, რომლებითაც აფხაზეთის პოლიტიკური ელიტა საუბრობს. კერძოდ, სახელმძღვანელო დავყავით ოთხ ძირითად ისტორიულ ეტაპად და ვეცადეთ თითოეული პერიოდიდან ის უმნიშვნელოვანესი პოსტულატები გვეპოვა, რომლებიც დღეს აფხაზად ყოფნას განსაზღვრავენ. სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ: რომ აფხაზები თავს აფხაზეთის ტერიტორიის უძველეს, ავტოქტონ მოსახლეობად თვლიან თავს; მათი შორეული წინაპრები არავითარ შემთხვევაში არ არიან ქართული ტომები; მათ არასდროს ჰქონიათ ქართველებთან ერთად ერთ სახელმწიფოში ცხოვრების გამოცდილება, გარდა სსრკ-მდე; მათ თავისი დამოუკიდებელი, შეიძლება



ითქვას მონოეთნიკური სახელმწიფო ჰქონდათ (მათი მტკიცებით, აფხაზეთის ტერიტორიის აბსოლუტურ უმრავლესობას ყოველთვის აფხაზი ტომები შეადგენდნენ); ქართველები აფხაზეთის ტერიტორიაზე მე-19 საუკუნეში ხელოვნურად, თვითნებური ჩასახლებების შემდეგ ჩნდებიან; აფხაზების წარმოდგენით, მათ აქვთ ყველა კომპონენტი იმისთვის, რომ ისინი ერს წარმოადგენდნენ და სუვერენული სახელმწიფო ჰქონდეთ.

გარდა ამისა, სახელმძღვანელოების ანალიზისას ჩვენ შევხვდით ისტორიის აშკარა რეკონსტრუქციის მცდელობებს. რომ არ დავიწყოთ ქართული და აფხაზური ნარატივის შეპირისპირება და რომელიმეს მარტებულობის მტკიცება, რეკონსტრუქციის აშკარა მაგალითად ერთი და იმავე ავტორთა სხვადასხვა წლებში გამოცემულ სახელმძღვანელოთა რიგ შემთხვევებში განსხვავებული შინაარსის აღმოჩნაა.

ამას გარდა, სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, ჩვენ ვამჩნევთ თუ როგორ იცვლება პერიოდებს შორის ქართველის სახე. ჩემი დაკვირვებით, აფხაზეთის ისტორიაში ქართველი/საქართველო გადის 3 ძირითად ფაზას: 1) ის ჯერ არის „უცხო“, ანუ სრულიად უცნობი. როდესაც ხდება მისი იგნორირება და მოსწავლისათვის უცნობია, იმ კონკრეტულ პერიოდში/ეპიზოდში ქართველთა შესახებ. ეს არის ფაზა, როდესაც ისტორიკოსები განგებ თავს არიდებენ ქართველთა ხსენებას და ეს ხდება მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში; 2) ეს არის ფაზა, როგორც ქართველებთან მიმართებით ჩნდება მიდგომა „სხვა“. როდესაც ისინი აღარ არიან „უცხოები“, მაგრამ ნამდვილად არიან „სხვები“, რადგან არ არიან „ჩვენ“; 3) და საბოლოოდ ესაა, ქართველის როგორც „მტრის“ დანახვა. იგი, რა თქმა უნდა, არის „სხვა“, მაგრამ „სხვა“ მასთან ერთად შეიძლება ბევრი იყოს, ამიტომ სხვასთან ერთად განსაკუთრებული დატვირთვა აქვს „მტრის ხატის“ შექმნას.

ზემოთ აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აფხაზური ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები ნამდვილად წარმოადგენენ ინდენტობის ფორმირების ერთ-ერთ, შემძლია ვთქვა, საკმაოდ ძლიერ ინტრუმენტს.

ქ.გალისა და ქ.სოხუმის სკოლის მოსწავლეებთან ჩატარებული სიღმისეული ინტერვიუს ანალიზის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ინტრუმენტი ნამდვილად

მოქმედებს და მისი ყველა გზავნილი თუ არა, ძირითადები მაინც მიდის ადრესატამდე - ჩვენს შემთხვევაში მოსწავლეებამდე. როგორც ჩემმა ერთ-ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, თავადაც ამ ნარატივის მატერებელი იყო, სანამ საქართველოში, თბილისში არ ჩამოვიდა, უნივერსიტეტში არ დაიწყო სწავლა და არ აღმოაჩინა „მეორე ისტორია“, რომელიც განსხვავებული იყო იმასგან რაც თვითონ ისწავლა. რესპოდენტების საუბრებიდან ირკვევა, გალის რაიონში შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა აფხაზეთის ისტორიის სწავლებას, ვიდრე ეს სოხუმშია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ უმნიშვნელოა, პირიქით, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აფხაზეთში აფხაზეთის ისტორიის სწავლება 5-9 კლასებშიც შეიტანეს, მანამდე მხოლოდ 10-11 კლასებში ასწავლიდნენ.

## გამოყენებული ლიტერატურა:

ანდერსონი, ბ. (2003). წარმოსახვითი საზოგადოებანი - მოსაზრებანი ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ. თბილისი, საქართველო: ენა და კულტურა.

ასათიანი, ნ., ლორთქიფანიძე, მ., ლომაშვილი, ფ., მეტრეველი, რ., და ოთხმეზური, გ. (2012). საქართველოს ისტორია - ისტორიის სახელმძღვანელო მეცხეკლასელთათვის. თბილისი, საქართველო: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

დავითაშვილი, ზ. (2003). ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბილისი, საქართველო: მეცნიერება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, (2015) საქართველოს ისტორია - ოთხტომეული. თბილისი, საქართველო: პალიტრა L.

ჰობსბაუმი, ე. (2012). ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან - პროგრამა, მითი, რეალობა. თბილისი, საქართველო: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Burke, P. (1980). *History as Social Memory*. New York, USA: *Memory, History, Culture and the Mind*.

Eriksen, T. (1991). *Ethnicity versus Nationalism*. *Journal of Peace Research*: Sage Publications.

Hobsbawm, E. (1998). *On History*: Amazon Kindle Cloud Reader.

Zerubavel, E. (2003). *Time Maps, Collective Memory and the Social Shape of the Past*. Chicago and London: The University of Chicago Press.

Zervas, T. (2016). *Formal and Informal Education during the Rise and Greek Nationalism – Learning to be Greek*. New York, USA: Palgrave Macmillan.

Appendix 1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Lili Lezhava

Abkhaz Identity Narrative Formation According to School Textbooks

Master's Thesis submitted to obtain a Master's Degree of Nationalism and Ethnicity  
Studies

Supervisor: Nino Chikovani

Professor of Institute of Cultural Studies of the Faculty of Humanities,

Doctor of Historical Sciences

Tbilisi, 2017